პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. ბ. ცენტ. და ტფ. კომიტ-ტების და ცაკ-ის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ორშაბათი
8
ოქტომბერი
1934 წ.
№ 233 (4089)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში

- სამოქალაქო ომი ესპანეთში.
- კატალონია გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად.
- ჩინეთის წითელი არმიის მორიგი გამარჯვება.
- დუმერგის გალაშქრება მშრომელთა მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ
- საფრანგეთის კომპარტიის საარჩევნო კამპანია
- საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალური ინსტიტუტის შესახებ.
- ამხ. მოლოტოვი ქარხანა „კრასნი პროლეტარში“.
- ახალი დოკუმენტი ამხ. სტალინის რევოლუციური მუშაობის შესახებ
- კასპის რაიონმა შეასრულა შაქრის ჭარხლის ჩაბარების წლიური გეგმა.

ერთდროული გადასახადი ერთპიროვნულ მეურნეობებზე

საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა წლითი-წლობით იზრდება. სახალხო მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ სამეურნეო განმტკიცდება. სოფლის მეურნეობის პროდუქტების კონტრაქტაციის სისტემიდან სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების სისტემაზე გადასვლამ და საკოლმეურნეო ბაზრების განვითარებამ უზრუნველყო კოლმეურნე და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხობის შემოსავლიანობის ზრდა.

ის ათეული მილიარდები, რომელსაც ჩვენ ყოველწლიურად ვაბანდებთ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ძირითადად მიღებულია სოციალისტური დაგროვების გზით. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო შემოსავალში გადასახადებიო აკრეფილი თანხები შეადგენენ უმნიშვნელო პროცენტს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი, უდიდეს შეღავათებს ანიჭებს კოლმეურნე და ერთპიროვნულ გლეხობას. გარდა იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სრულიად თავისუფლდებიან მცირე შეძლების მქონე მეურნეობანი, ეს გადასახადი, გლეხობის მზარდ შემოსავალთან შედარებით, უმნიშვნელოა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ადგილებზე საფინანსო ორგანოების და სოფლის საბჭოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის, ხოლო ზოგჯერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, **ერთპიროვნულ მეურნეთა** განსაზღვრული ნაწილი ადვილად ახერხებს გადასახადისაგან თავის დაძვრენას და სახელმწიფო ვალდებულებისათვის გვერდის ავლას.

ასეთ პირობებში სავსებით დროულია საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დადგენილება **„1934 წ. ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობისათვის დაწესებული ერთდროული გადასახადის საქართველოს ს.ს.რ. ტერიტორიაზე ჩატარების შესახებ“**, რომელიც გამოქვეყნებულია ჩვენი გაზეთის 6 ოქტომბრის ნომერში. ამ დადგენილების მიხედვით **„ერთდროული გადასახადით იბეგრება ყველა ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობა, რომელიც 1934 წ. დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით როგორც სოფლად, ისე ქალაქებსა, დაბებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში“.**

ისე როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი, ერთდროული გადასახადის დადგენილება შეიცავს მთელ რიგ შეღავათებს მშრომელი გლეხობის იმ ძირითადი მასის მიმართ, რომელიც მთლიანად და ვადაზე ასრულებს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. სამაგიეროდ, დადგენილების მთელი სიმკაცრე მიმართულია კულაკური მეურნეობების წინააღმდეგ, რომლებიც **ერთდროულ გადასახადს იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის ორასი პროცენტის რაოდენობით,** აგრეთვე იმ მეურნეობათა წინააღმდეგ, **„რომლებიც ბოროტად არ ასრულებენ თავის სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების მათთვის მიცემულ გეგმებს“.** ასეთი მეურნეობანი **„იბეგრებიან ერთდროულ გადასახადით საერთო საფუძველზე, მაგრამ მათი გადასახადის თანხა ორმაგდება“.**

მთავრობის დადგენილებით გადასახადის მთელი თანხის 50 პროცენტი ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ შეტანილი უნდა იქნას 5 ნოემბრამდე. დანარჩენი 50 პროცენტი არა უგვიანეს 5 დეკემბრისა. კულაკური მეურნეობანი ერთდროულ გადასახადს იხდიან ერთ ვადაში — სახელდობრ 5 ნოემბრამდე. ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ **ერთდროული გადასახადი აიკრიფოს დროზე და მთლიანად.** ვადების არავითარ გადადებას არ უნდა ექნეს ადგილი. სარაიონო აღმასკომებმა, სასოფლო საბჭოებმა და საფინანსო ორგანოებმა ახლავე უნდა გააჩაღონ მუშაობა ერთდროული გადასახადის გაწერისა და მათი ერთპიროვნულ და კულაკურ მეურნეობებამდე დაყვანისათვის.

საჭიროა ამ დადგენილების ფართო ახსნა-განმარტება სოფლად ერთპიროვნულ მეურნეებისათვის. ამავე დროს აუცილებელია მკაცრი ზომების მიღება იმათ მიმართ, ვინც შეეცდება თავი დაიძვრინოს გადასახადისაგან ან გააჭიანუროს გადასახადის შეტანის ვადები. ამასთანავე აუცილებელია იმ შეღავათების განუხრელი განხორციელება, რომელსაც კანონი ანიჭებს ერთპიროვნულ მეურნეთა მთელ რიგ კატეგორიებს.

ერთდროულ გადასახადს ერთპიროვნულ მეურნეობებზე აქვს დიდი პოლიტიკური სამეურნეო მნიშვნელობა. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მტკიცედ ბოლშევიკურად უნდა გაატარონ ცხოვრებაში მთავრობის ეს დადგენილება.

გავაძლიეროთ იდეური შინაარსი

პარტიული მუშაობის გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს პარტიის წევრის იდეური ზრდა, რაც დამოკიდებულია შინაპარტიულ მუშაობის დაყენებაზე, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს **პარტიული კრება.**

თუ იგი კარგადაა მოწყობილი, უზრუნველყოფილია შინაარსიანი დღის წესრიგით და კვალიფიციური მოხსენებებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ პარტიულ კრებაზე, როგორც ამხ. კაგანოვიჩი ამბობდა, **„პარტიის წევრი სწავლობს და იგი უნდა სწავლობდეს ბოლშევიზმს არა ნაკლებ, უფრო მეტად თუ არა, ვიდრე პარტიულ სკოლაში“.**

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **დახურულ პარტიულ კრებას.** ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვერ აფასებს დახურული პარტიული კრების მნიშვნელობას, სწორედ ამის შედეგია, რომ ბევრგან ხელი აიღეს დახურული კრების პრაქტიკაზე. ეს უსათუოდ შემცდარი აზრია. არ შეიძლება დახურული პარტიული კრებების შეცვლა ღია კრებებით სწორედ ისევე, როგორც მუშათა საერთო კრებების შეცვლა არ შეიძლება პარტორგანიზაციების ღია კრებებით.

პარტიულ კრებებზე ადგილობრივ სამეურნეო-პოლიტიკურ საკითხებთან ერთად უნდა განიხილონ საერთო პოლიტიკური საკითხებიც. აქ მთავარია ამ საერთო პოლიტიკური საკითხების ისე დაყენება, რომ ისინი მჭიდროდ დაუკავშირდეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანებს ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივი საკითხების განხილვის უფრო მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე აყვანას.

პარტიული კრება შინაარსიანი შეიძლება იქნეს იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები შესძლებენ განსახილველად შეარჩიონ ისეთი საკითხები, რომლებიც მოცემულ ორგანიზაციისათვის აღებულ მომენტში მთავარ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს. ეს კი გულისხმობს **ერთიანი პარტიული დღეების სისტემაზე ხელის აღებას.** არ არის სავალდებულო და არც საჭიროა, რომ რაიონის ყველა პარტიული ორგანიზაციის კრებებზე ყოველთვის იხმებოდეს ერთი და იგივე საკითხი, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა (გამონაკლისი შეიძლება იყოს ყრილობის ან პლენუმის შედეგებისა და საერთო დადგენილებების დამუშავება). განა დასაშვებია როცა **ლაგოდეხის** რაიონში პირველადი პარტიული ორგანიზაციებს ყოველთვის რაიკომიტეტიდან ეძლევათ დღის წესრიგი? მაგალითად, რაიონში ჩატარდა ერთიანი პარტდღე თესვის შედეგებზე, ეს საკითხი დაისვა იქაც, სადაც თესვა დამთავრებული არ ქონდათ და სადაც შედეგებზე ზედმეტი იყო ლაპარაკი.

პარტიული კრების წარმატებით ჩატარება, კრების შინაარსის მაღალ დონეზე აყვანა დიდათ არის დამოკიდებული კვალიფიციურ მომხსენებელზე. მომხსენებლების შერჩევას და მათ ინსტრუქტაჟს ჯერ კიდევ ბევრგან არ ექცევა სათანადო ყურადღება. როგორც მომხსენებლებს, ისე პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს კრების ჩატარებამდე ორი-სამი დღით ადრე რაიკომმა უნდა გაუწიოს ინსტრუქტაჟი.

ჩვენი ამოცანაა გავაუმჯობესოთ და გავაძლიეროთ პარტიული კრებების იდეური შინაარსი.

ახალი დოკუმენტები ამხ. სტალინის რევოლუციური მუშაობის შესახებ

(ქუთაისი. საკუთ. კორესპ.)

ქუთაისის საისტორიო-სამეცნიერო არქივში აღმოჩნდა მეფის მოადგილის კანცელარიის მიერ ა.-კავკასიის ყველა გუბერნატორებისა და ბაქოს გრადონაჩალნიკისადმი წარგზავნილი ცირკულიარი 1910 წლის 27 აგვისტოს თარიღით.

ცირკულიარში აღნიშნულია რომ ტფილისის მაზრის სოფელ დიდი-ლილოს მცხოვრებ გლეხს **იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილს აკრძალული აქვს ა.-კავკასიის მხარეში ცხოვრება 5 წლის ვადით, როგორც საშიშ პიროვნებას სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი მყუდროების თვალსაზრისით.** გუბერნატორებს წინადადება ეძლევათ არ დაუშვან ეს პირი მათ საგუბერნატოროებში ვადის გასვლამდე და თვალყური ადევნონ. ამ ცირკულიარის მტკიცედ გატარებას... ცირკულიარს ხელს აწერს **ლვოვიჩი.**

ამავე არქივში აღმოჩენილია საიდუმლო საქმეები სტეფანე შაუმიანზე, ფილიპე მახარაძეზე და მიხა ცხაკაიაზე.

სამოქალაქო ომი ესპანეთში

ლერუსის მთავრობა გზას უხსნის მონარქიას

პარიზი, 5 ოქტომბერი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლერუსის მთავრობა არის ყველაზე რეაქციული ესპანეთის ყველა მთავრობას შორის რევოლუციის დაწყებიდან. უკიდურესად მემარჯვენე მონარქისტული პარტიების და რობლესის კათოლიკური ფაშისტური პარტიის ბლოკი არსებითად გზას უხსნის მონარქიის აღდგენას.

ზომიერი რესპუბლიკური პარტიებიც კი, რომელთაც ესპანეთში სამოქალაქო ომის გაჩაღების ეშინიათ, კაბინეტის წინააღმდეგ გამოდიან. ნაციონალურ-რესპუბლიკური პარტიის ბელადი რომანი, რესპუბლიკური კავშირის ბელადი ვარიოსი, კონსერვატულ-რესპუბლიკური პარტიის ბელადი მაურა და მემარცხენე რესპუბლიკელნი გამოვიდენ განცხადებით, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ ესპანეთის მონარქიის რესტავრაციის საფრთხე ემუქრება. საკონსტიტუციო გარანტიათა ტრიბუნალის თავმჯდომარე ალვარონოსი გადადგა, ვინაიდან იგი კაბინეტის პოლიტიკას არ ეთანხმება (ადს).

თავდასხმა იარაღის სახელოსნოებზე

ლონდონი, 5 ოქტომბერი. ესპანეთიდან იტყობინებიან, რომ ოვიედოს პროვინციაში, სადაც სამხედრო წესები გამოცხადებული, **მუშები შეიარაღებული არიან შაშხანებით და ტყვიამფრქვევებით** და წითელ მოსახვევებს ატარებენ. აღნიშნულია შეტაკებანი მუშებს და სამოქალაქო გვარდიას შორის. ორივე მხრიდან მრავალია მოკლული.

ლეონის პროვინციაში მუშების წინააღმდეგ **სამხედრო თვითმფრინავები მოქმედებენ. სან-სებასტიანოში მუშები თავს დაესხენ იარაღის სახელოსნოებს** (ადს).

დუმერგი ილაშქრებს მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ

პარიზი, 5 ოქტომბერი. გუშინ დუმერგის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვა ჩვეულებრივ საარჩევნო ხასიათს ატარებდა და სახელმწიფო რეფორმის პროექტის მთელ რიგ დაზუსტებას შეიცავდა.

დუმერგმა თავისი სიტყვის დიდი ნაწილი მოანდომა კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთიანი ფრონტის მკაცრ კრიტიკას. „ჩვენში არის კრიზისის და პოლიტიკური შფოთისაგან საფრანგეთის ხსნის გეგმა, — განაცხადა მან, — მაგრამ ჯერ საჭიროა გავატაროთ რეფორმები, რომლებზედაც მე ვლაპარაკობდი, და ლახვარი ჩავცეთ ერთიან ფრონტს“. ამისათვის აუცილებლად საჭიროა, — თქვა დუმერგმა, — ყველა იმ ფრანგის გაერთიანება, რომლებიც ერთიან ფრონტში არ შედიან (ადს).

კატალონია გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად

პარიზი, 7 ოქტომბერი. მთელს ესპანეთში გამოცხადდა საალყო წესები. მთელი შეიარაღებული ძალების სარდლად დაინიშნა გენერალი ფრანკო. გამოქვეყნებულია განკარგულება, რომ ყველა სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც დღეს არ შეუდგება მუშაობას, დათხოვნილ იქნება. მეტროს ყველა მოსამსახურე უკვე დაითხოვეს. მთავრობის სასწრაფო სხდომის შემდეგ გენერალი ოჩოა გაფრინდა ოვიედოში (ასტურია) მდგომარეობის გასაცნობად; მაგრამ მან ვერ შესძლო იქ დაშვება, რადგან ქალაქი მუშების ხელშია.

ბარსელონიდან მიღებული ცნობებით, კატალონიის მთავრობის თავმჯდომარემ კომპანისმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომ კატალონია „იბერიის რესპუბლიკათა თავისუფალ სახელმწიფოდ“ ცხადდება იუწყებიან, რომ მანიფესტის გამოქვეყნებამდე ბარსელონაში შეიქმნა ესპანეთის დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში ედგა ყოფილი პრემიერი ასანია. მთავრობის სასახლესთან შეიკრიბა მრავალი ათასი ხალხი, რომელიც მოითხოვდა დამოუკიდებელი კატალონიის რესპუბლიკის გამოცხადებას.

მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ ცენტრალური მთავრობის შეიარაღებულ ძალთა სარდალმა გენერალმა ბატეტმა ულტიმატუმი წარუდგინა კომპანისს და ყუმბარები დაუშინა სასახლეს, რომელშიაც იმყოფებოდენ კატალონიის მთავრობის წევრები და ასანია. ამასთან ჯარი ცდილობდა დაეხურა სასახლის ის ნაწილი, საიდანაც კამპანისი რადიოთი მოუწოდებდა მოსახლეობას ჯარებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისაკენ. ჰავასის უკანასკნელი ცნობებით, კატალონიის მთავრობა შუადღისას დანებდა გენერალ ბატეტს იმის გამო, რომ „უსარგებლო იყო შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა“.

მთელს სახელმწიფოში გრძელდება ბრძოლა მუშებსა და მთავრობის ჯარებს შორის. (ადს).

ესპანეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლა

ლონდონი. 7 ოქტომბერი. ესპანეთიდან მიღებული არასრული ცნობებით, გუშინ სხვადასხვა ქალაქებში მუშებსა და მთავრობის ძალებს შორის მომხდარი შეტაკების დროს მოკლულია 100 კაცზე მეტი და დაიჭრა 500 კაცი. დააპატიმრეს რამდენიმე ათასი კაცი. საპატიმროები სავსეა პატიმრებით. დაპატიმრება გრძელდება.

ღამით შინაგან საქმეთა მინისტრს საუბარი ჰქონდა გენერალური შტაბის უფროსთან შეიარაღებულ ძალთა საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. მთელს სახელმწიფოში შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა.

სერიოზული ბრძოლა წარმოებს მთელს ასტურიაში, სადაც აჯანყდა და იარაღით გამოვიდა 40 ათასამდე მაღაროელი მუშა; ორივე მხრიდან მსხვერპლი დიდია. ბევრ ქალაქსა და სოფელში მდგომარეობის ბატონ-პატრონი მუშებია: მათ ხელთ იგდეს სახელმწიფო დაწესებულებანი და „სამოქალაქო გვარდიის“ (ჟანდარმერიის) ყაზარმები. მუნიციპალიტეტის მრავალ შენობაზე, რომლებიც მუშებს აქვთ დაკავებული, გამოკიდეს წითელი დროშები.

#

აჯანყებულმა ჯარისკაცებმა დახვრიტეს აფიცრები.

პარიზი, 7 ოქტომბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, ქალაქ ხერონში (ბარსელონის მახლობლად) აჯანყდა ქვეითი ლეგიონი. აჯანყებულმა ჯარისკაცებმა დახვრიტეს აფიცრები, მათ შორის ერთი გენერალი, ორი პოლკოვნიკი და ორი კაპიტანი. ხერონში გაგზავნეს მთავრობის ჯარები (ადს).

ჩინეთის წითელი არმია იმარჯვებს

ტოკიო, 6 ოქტომბერი. სიმბუნ-რენგო იუწყება, რომ ჩინეთის წითელი არმიის 10 ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი სიაოკის მეთაურობით რომელიც [illegible] და გუიჯოუს მიმართულებით, 3 ოქტომბერს შევიდა სიჩუანში, სადაც შეუერთდა ჩინეთის წითელი არმიის ძალებს ხოლუნის მეთაურობით და ემუქრება ქალაქ ვანსიანს, ვანსიანში გაიგზავნა ნანკინის ჯარი გენერალ ლუ სენის სარდლობით. სიაოკის წითელ არმიასთან ბრძოლაში ნანკინის ჯარებმა დაკარგეს მრავალი ათასი კაცი. მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი. 5 ოქტომბერს კულინიდან ხანკოუში ჩავიდა **ჩან კაი-ში,** რომელმაც იკისრა სიჩუანში წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ მომქმედი ჯარების სარდლობა.

კობეს გაზეთები წერენ, რომ ხანკოუდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის წითელი არმიის რაზმი სიაოკის მეთაურობით, რომელიც ხუნანიდან მოიწევს, ნანკინის ჯარების 3 და 4 დივიზიების დამარცხების შემდეგ შევიდა სიჩუანში, მან დაიკავა ბაჟუნი და ნილუნი და იმყოფება ჩუნკინის მისასვლელთან — სიჩუანის სამხრეთ აღმოსავლეთით. ნანკინის ჯარი უკან იხევს მთელი ფრონტით და ჩუნკინის დაკავება ჩინეთის წითელი არმიის მიერ სავსებით შესაძლებელია. 30 სექტემბერს ხანკოუდან ჩუნკინში ჩამოვიდა გერმანიის საკონსულოს მთელი შემადგენლობა, აგრეთვე მრავალი უცხოელი და ჩინელი რეზიდენტი, რომლებსაც ეშინიათ ჩინეთის წითელი არმიის შესვლის ჩუნკინში. ჩუნკინის მთელი შეძლებული მოსახლეობა გარბის ქალაქიდან (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის საარჩევნო კამპანია

პარიზი, 6 ოქტომბერი. „ლუმანიტე“ იუწყება, რომ საფრანგეთის კომპარტიის საარჩევნო კრებები მიმდინარეობს ამომრჩევლებით გაჭედილ დარბაზებში. ნიცაში კომუნისტებმა გამართეს 2 მიტინგი, რომლებსაც 8 ათასი კაცი დაესწრო. შემდეგ მიტინგის მონაწილეებმა ქუჩებში დემონსტრაციები მოაწყვეს.

პარიზის ოლქში კომპარტიამ დიდი წარმატებით ჩაატარა კრებები გლეხებს შორის (ადს).

საყოველთაო გაფიცვა ესპანეთში

ასტურიის მთელ რიგ ქალაქებში დაარსდა საბჭოები

პარიზი, 6 ოქტომბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, საყოველთაო გაფიცვა მთელ ესპანეთს მოედო, ამასთან ალაგ-ალაგ გაფიცვა ღებულობს აჯანყების შეიარაღებულ მუშებსა და ჯარებს შორის ბრძოლების ხასიათს. მთავრობის თავმჯდომარე ლერუსი ოფიციალურ ცნობაში აცხადებს, რომ რევოლუციური მოძრაობა მთელს ესპანეთს მოედვა.

მადრიდში გაფიცვა განსაკუთრებულად ორგანიზებულად მიმდინარეობს. მთელი მრეწველობა ჩაკვდა. მოძრაობა სრულიად შეწყდა. ატოჩას მუშათა კვარტალში გაფიცულებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. პოლიციამ აამოქმედა ტყვიამფრქვევები. მოკლულია ერთი, დაიჭრა ორი კაცი. ქალაქის ყველა სტრატეგიულ პუნქტში დადგეს ტყვიამფრქვევები. მადრიდში დააპატიმრეს დაახლოებით 500 კაცი.

ამბების ცენტრს წარმოადგენს ასტურია. ამ პროვინციის ყველა დიდ ქალაქში, მათ შორის მის მთავარ ქალაქ ოვიედოშიც, ხდება შეიარაღებული შეტაკება პოლიციასთან. ოვიედოს ერთერთ ქვანახშირის რაიონის მაღაროელებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება ქალაქ მიერესსა, სამასა და ლანგრეოში, **სადაც დაარსეს საბჭოები.** რაიონში მეზობელი პროვინციებიდან გაიგზავნა ჯარის ნაწილები. ამ ქალაქებში განუწყვეტლივ წარმოებს სროლა. მაღაროების სამპართველოს საწყობებში მაღაროელებმა ხელთ იგდეს დინამიტის ვაზნები. ოვიედოსა და მადრიდს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა. ჯარის ნაწილები, რომლებიც ავტომობილებით გაგზავნეს, იძულებული გახდენ უკან დაეხიათ, ვინაიდან გზაში მათ მუშებმა შეუტიეს.

ოფიციალური ცნობების თანახმად „ასტურიაში ამბებმა წმინდა რევოლუციური ხასიათი მიიღო“.

კატალონიის მთელს პროვინციაში საყოველთაო გაფიცვა წარმატებით მიმდინარეობს. მატარებლები არ დადიან, ვაჭრობენ მხოლოდ სასურსათო მაღაზიები, რომლებსაც საგაფიცვო კომიტეტის ნებართვა აქვთ. **ქალაქ საბადელში მუშებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება.** ლერიდაში მუშებმა ხელთ იგდეს რადიოსადგური. რადიოთი მუშები გაფიცვისაკენ მოუწოდებენ.

თვით ბარსელონაში (კატალონიის დედაქალაქი) მოხდა გაფიცულთა პიკეტების შეიარაღებული შეტაკება პოლიციასთან, რომელიც შტრეიკბრეხერებს იცავდა. ამასთან შტრეიკბრეხერობის შემთხვევები ერთეულებით განისაზღვრება.

მთლიანი ფრონტის — „ალიანსა ობრერას“ ორგანიზაციამ, რომელიც გაფიცვას ხელმძღვანელობს, გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვს კატალონიის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადებას და ესპანეთის ფედერატიული რესპუბლიკის შექმნას.

გაფიცვა მთლიანად მოედო აგრეთვე კადიქსის პროვინციას, ვალენსიას, ანდალუზიას, სან-სებასტიანოს, ბისკაის, არაგონის და ვალიადოლიდის პროვინციებს.

მუშებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ქალაქი და სოფელი.

წარმოებს ბრძოლა ქალაქ ეიბარში—სან-სებასტიანოს პროვინციაში.

ბისკაიში მაღაროელი მუშები იარაღით გამოვიდენ პოლიციის წინააღმდეგ. რიოსეკოში (ვალიადოლიდის პროვინცია) მუშათა უბნები გადათხრილია სანგრებით. მოწყობილია ბარიკადები. მუშები ებრძვიან პოლიციას. ქალაქ მაგალონში ბრძოლა წარმოებს.

ანალოგიური ცნობები მოდის მრავალი დიდი და პატარა პროვინციული ქალაქიდან.

პარიზი, 6 ოქტომბერი. უკანასკნელი ცნობებით. ესპანეთის ამბები უაღრესად სერიოზულ ხასიათს ღებულობს. ბრძოლა გრძელდება. ოვიედოს ქვანახშირის რაიონში მაღაროელებმა დაიჭირეს მრავალ ადგილას რკინისგზის ლიანდაგი, სხვა ადგილებში მათ ხელთ იგდეს მატარებლები, რომლებითაც გადაყავთ თავიანთი რაზმები უფრო სახიფათო პუნქტებში შეტაკებებს განსაკუთრებით საბრძოლო ხასიათი აქვს.

საბჭოთა კავშირში

ამხ. მოლოტოვი ქარხანა „კრასნი პროლეტარში“

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი ეწვია მოსკოვის დაზგათმშენებელ ქარხანა „კრასნი პროლეტარს“, ქარხნის დეპუტატი მოსკოვის საბჭოში—ამხ. მოლოტოვი საკ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანთან ამხ. სოიფერთან და „გლავკოსტან-კოინსტრუმენტის“ უფროს ამხ. ალპეროვიჩთან ერთად ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკების: „კრასნი პროლეტარის“ ტექნიკური დირექტორის ამხ. ჩარნოცკის, პარტკომის მდივნის და სხვ. თანხლებით მთელი 4 საათის განმავლობაში ათვალიერებდა ქარხნის საამქროებს და მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

ამხ. მოლოტოვმა დაათვალიერა ქარხნის სასადილოც. სასადილოში დასვენების დროს ამხ. მოლოტოვი საუბრობდა მუშებთან, რომლებიც მას მისასალმებელი შეძახილით შეხვდენ (ადს).

სატვირთო და სამგზავრო ავტომობილების გამოშვება მესამე კვარტალში

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ავტოსატრაქტორო მრეწველობამ მესამე კვარტალში გამოუშვა 4.700 სატვირთო ავტომობილი — სტალინის სახელობის ქარხანა—(გეგმის 100,2 პროც.), 642 სატვირთო ავტომობილი — იაროსლავის ქარხანა—(გეგმის 100,3 პროც.), 8.285 სატვირთო ავტომობილი—გორკის ავტოქარხანა (გეგმის 97,5 პროც.), 3.884 სამგზავრო ავტომობილი — გორკის ქარხანა—(გეგმის 92,5 პროც.), 10,27 ტრაქტორი—სტალინგრადის სატრაქტ. ქარხანა. (გეგმის 98,4 პროც.), 10.250 ტრაქტორი — ხარკოვის სატრ. ქარხანა—(გეგმის 100,2 პროც.) და 3.008 ტრაქტორი — ჩელიაბინსკის სატრ. ქარხანა—(გეგმის 100,3 პროცენტი) (ადს).

28 სექტემბერს ამუშავდა კრამატორსკის სტალინის სახელობის ქარხანა. საზეიმო გახსნას დაესწრენ ამხ. ს. ორჯონიკიძე, მ. კაგანოვიჩი და მრავალი სტუმარი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

სურათზე: ამხ. ს. ორჯონიკიძე, მ. კაგანოვიჩი, ქარხნის დირექტორი ამხ. კირილკინი, ტექნიკური დირექტორი— ამხ. კამენევი.

ფინეთის ინჟენრების ექსკურსია ლენინგრადში

ლენინგრადი, 5 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს ფინეთიდან ლენინგრადში ჩამოვიდა ინჟენერ-ელექტრიკოსთა ექსკურსია ფინეთის მრეწველობის მინისტრის ბ. კილინენის მეთაურობით (ადს).

კუზნეცკის ქარხნის მძლავრი მარ[illegible]

სტალინსკი, 5 ოქტომბერი. კუზნეცკის ქარხანაში დამთავრდა მეათე მარტენის მშენებლობა. ეს ღუმელი, რომლის ექსპლოატაცია 7 ნოემბერს დაიწყება, დღე-ღამეში მოგვცემს 300 ტონა ფოლადს (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება

ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალური ინსტიტუტის შესახებ

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ იმ ზომების შედეგად რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გასაუმჯობესებლად (განუწყვეტლივი სკოლის, სტიპენდიებისა და საერთო საცხოვრებლების, საზოგადოებრივი დატვირთვის დირექტორთა როლის და ავტორიტეტის გაძლიერების და სხვ. შესახებ) მიღწეულია მთელი რიგი წარმატებები სწავლების დაყენების საქმეში, სასწავლო დისციპლინის განმტკიცებისა და მოსწავლეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის და კულტურულ-პოლიტიკური მომსახურების გაუმჯობესების სფეროში.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბოლო დროს ზოგიერთმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობლად შეასუსტა თავისი ყურადღება სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალური ინსტიტუტის გამოკვლევის დროს, რაც ჩაატარა საკ. კ.პ. (ბ) სამრეწველო განყოფილებამ და პარტიული კონტროლის კომისიის რწმუნებულმა აზოვ-შავიზღვის მხარეში.

ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში ელემენტარულ მზრუნველობასაც კი არ იჩენენ სტუდენტთა საჭიროებებზე. საერთო საცხოვრებლები განსაკუთრებით უმსგავსო მდგომარეობაშია, შეუკეთებელი და მოუწყობელია, ჩამტვრეული მინების ჩასმა თვეობით ჭიანურდება, არ არის პირსაბანები, არ არსებობს მინიმალური ელემენტარული პირობები სტუდენტთა მუშაობისა და დასვენებისათვის.

არ არის მოწყობილი მასობრივი აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტებს შორის. არც ერთ საერთო საცხოვრებელში, ისე როგორც თვით ინსტიტუტშიაც, არ მოიპოვება მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკა. ინსტიტუტში, სადაც სწავლობს 2.000-ზე მეტი სტუდენტი, არაფერი არ კეთდება იმისთვის, რომ კულტურულად მოაწყონ სტუდენტთა დასვენება, მოაწყონ სპორტი.

ამის შედეგად ცალკეულ სტუდენტებს შორის თავი იჩინა ავადმყოფურმა მოვლენებმა (ლოთობა, საყოფაცხოვრებო გახრწნა და სხვ.).

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ ასეთი მდგომარეობა ინსტიტუტში შეიქმნა იმიტომ, რომ ინსტიტუტის დირექტორმა პარშიკოვმა ვერ შეიგნო სტუდენტური ახალგაზრდობის აღზრდის პასუხისმგებლობა და სირთულე. პარშიკოვს არ აინტერესებდა სტუდენტთა ყოფა-ცხოვრება, იგი არ ამოწმებდა საერთო საცხოვრებლების მდგომარეობას, ფორმალურად ეკიდებოდა სტუდენტთა კანონიერ საჩივრებს, სტიპენდიებს ართმევდა სტუდენტებს ისე, რომ არ არკვევდა სწავლაში მათი ჩამორჩენის მიზეზებს. პარშიკოვმა ინსტიტუტში ვერ შექმნა ისეთი პირობები, რომ თვითეულ სტუდენტს შეეძლოს მივიდეს მასთან თავისი სწავლის და ყოფა-ცხოვრების მტკივნეული საკითხების გადასაჭრელად.

მხოლოდ ინსტიტუტის ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის დროს შეიძლება ადგილი ქონოდა ისეთ აღმაშფოთებელ შემთხვევებს, როცა დირექტორის მოადგილე ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილში კოლოვიკი თავის კაბინეტიდან აძევებდა სტუდენტებს, რომლებიც მას მიმართავდენ თავის საყოფაცხოვრებო საკითხებზე.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მთელი ეს უმსგავსოება დარჩა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ყურადღების გარეშე, ხოლო პარტკომის მდივანმა გრეჩკომ ვერ შესძლო ყოველდღიური ბოლშევიკური პარტიულ-მასობრივი მუშაობის მოწყობა სტუდენტთა შორის და არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდა სტუდენტთა მოთხოვნილებებისადმი არაგულისხმიერი და უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებთან.

საკ. კ.პ. (ბ) აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილებას (რიაბოკონი) და ნოვოჩერკასკის რაიკომს (ლიაშენკო) მხედველობიდან გამორჩათ პარტიულ მასობრივი მუშაობის ჩაშლა ინსტიტუტში, ისინი არ ამოწმებდენ სტუდენტთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-პოლიტიკური მომსახურების მდგომარეობას და ხელმძღვანელ სამუშაოზე ინსტიტუტში აგზავნიდენ უვარგის და შემთხვევითი ადამიანებს (ვოლოვიკი, რულევი).

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს უფროსმა ამხ. პეტროვსკიმ ჩაატარა მთელი რიგი ინსტიტუტების ფორმალური გაერთიანება ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში, ვერ უზრუნველყო ინსტიტუტი კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით, ვერ მოამზადა საჭირო მატერიალური ბაზა და არ ახორციელებდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ერთერთი უდიდესი სასწავლებლის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას.

საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ი ადგენს:

1. სტუდენტთა ყოველდღიური საჭიროებებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისა და თავის გაბიუროკრატებულ და გახრწნილ თანამშრომელთა მუშაობისადმი კონტროლის სრული [illegible] მოიხსნას სამუშაოდან ინსტიტუტის დირექტორი პარშიკოვი.
2. სტუდენტთა შორის ავადმყოფურ მოვლენებთან ბრძოლის გაჩაღებაში უნარის გამოუჩენლობისა და ინსტიტუტში მასობრივი აღმზრდელობითი მუშაობის გაუწევლობისათვის მოიხსნას სამუშაოდან პარტკომის მდივანი გრეჩკო.
3. პარტიიდან გამორიცხული ვოლოვიკი (დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში) და რულევი (საერთო საცხოვრებელთა მმართველი) ინსტიტუტის მეურნეობის ჩაშლისა და საერთო საცხოვრებელთა უმსგავსო მდგომარეობისათვის სამართალში იქნან მიცემული.
4. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს შეუდგეს ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელთა რემონტს და მოწყობას და მოამზადოს ისინი ზამთრისათვის.
5. დაევალოს საკ. კ.პ. (ბ) აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტს განამტკიცოს ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის და კომკავშირის ხელმძღვანელობა.
6. გაიგზავნოს ნოვოჩერკასკში მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს უფროსი ამხ. პეტროვსკი სასწავლო წლის ნორმალური გაშლისათვის ადგილობრივ საჭირო ზომების მისაღებად.

★

საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ი სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში გამოაშკარავებულ ავადმყოფურ მოვლენებს ვხვდებით სხვა ინსტიტუტებშიც (სტალინგრადის მექანიკურ, ვიატკის ზოოვეტერინალურ, ოდესის სასოფლო-სამეურნეო და სხვა ინსტიტუტებში).

საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ი სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების წინაშე, პირველ რიგში კი სამრეწველო სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და კულტპროპგანყოფილებათა წინაშე, აყენებს ამოცანას — გადაჭრით გააძლიერონ ყურადღება სტუდენტობის მატერიალური და კულტურულ-პოლიტიკური მომსახურების, სასწავლო დისციპლინის განმტკიცების, ხელმძღვანელი კადრების შერჩევის და მათი მუშაობის სისტემატიური შემოწმების საკითხებისადმი და უზრუნველყონ სასწავლებელთა დირექტორების როლისა და ავტორიტეტის ამაღლება.

ს. ს. რ. კ-ის სახკომსაბჭოში და საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტში

რკ. გზების სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის და სალიანდაგო მეურნეობის შესახებ

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება რკინისგზების სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის და სალიანდაგო მეურნეობის მოუვლელობის ლიკვიდაციის შესახებ.

ამ დადგენილებაში საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ: მიუხედავად იმისა, რომ 1934 წელს უფრო ფართოდ გაიშალა სალიანდაგო სამუშაოები და როგორც გზათა სახალხო კომისარიატში, ისე გზებზე, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სალიანდაგო მეურნეობას, რკინის გზების ქსელზე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია რემონტის და სალიანდაგო მეურნეობის წესრიგში მოყვანის ტემპები და განსაკუთრებით სამუშაოების ხარისხი.

განსაკუთრებით ცუდად ასრულებენ ლიანდაგის რემონტის პროგრამას როგორც რიცხვობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ შემდეგი რკინისგზები: შუააზიის (გზის უფროსი ამხ. პროკოფიევი), ომსკის (უფროსი ამხ. ბაზულინი), სამარა-ზლატოუსტის (უფროსი ამხ. კოვილკინი), ოქტომბრის (უფროსი ამხ. სინეევი) და აღმოსავლეთ-ციმბირის (უფროსი ამხ. გოლიშევი).

მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს გზებზე (ჩრდილოეთის, მოსკოვ-კურსკის, მოსკოვ-ყაზანის რკინისგზები) ჩაიშალა ლიანდაგის რეკონსტრუქციის სამუშაოების პროგრამა (ხრეშის ბალასტის დაგება, შპალების დამატება, ახალი ტიპის სამაგრების დადგმა).

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს არ შეუსრულებია გზათა სახალხო კომისარიატისათვის ქანჭიკების და სამაგრების მოწოდების პროგრამა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს საკმაო რაოდენობით არ მიუწოდებია მისთვის შპალები, სახიდე და გადასაყვანი ძელები.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებსაც შემდეგში დაუშვებლად მიაჩნიათ ჩამორჩენა ლიანდაგის სარემონტო სამუშაოების დარგში, დაავალეს გზათა სახალხო კომისარიატს და გზების უფროსებს მთლიანად შეასრულონ ლიანდაგის რემონტის გეგმა 1 ნოემბრისათვის.

დისტანციების უფროსები ვალდებული არიან პირადათ აწარმოონ, როგორც კოლონების, ისე ბრიგადების მიერ შეკეთებული ლიანდაგის მიღება;

გზების უფროსებმა პირადად უნდა შეამოწმონ საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის, სარემონტო კოლონების მუშაობა.

ლიანდაგის მუშათა მუდმივი კონტიგენტი 100 ათასი კაციდან გადიდებულია 150 ათას კაცამდე.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითეს, რომ საჭიროა ლიანდაგის მუშათა მომარაგების გაუმჯობესება და მათთვის ხელის შეწყობა ინდივიდუალური მეურნეობის (მეცხოველეობა, მებოსტნეობა და სხვ.) განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევიან გარდაიქმნას ლიანდაგის მუშების, საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების სისტემა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას არა მარტო ბრიგადის, არამედ, კერძოდ, თვითეული მუშის დაინტერესება შესრულებული სამუშაოს ხარისხით. დადგენილება მოითხოვს შემოღებულ იქნას დაჯილდოება სამუშაოების მაღალი ხარისხისათვის და ხელფასის შემცირება ცუდი ხარისხით შეკეთებული უბნებისათვის.

სალიანდაგო დარგის საშუალო მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლებად 1934—1935 წლის ზამთრის პერიოდის განმავლობაში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გადამზადებულ უნდა იქნან გზის და ხიდების ოსტატების და ლიანდაგის ბრიგადირების არანაკლებ 50 პროცენტისა.

გზათა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა უზრუნველყოს 1935 წლის სალიანდაგო სამუშაოების გეგმის და სალიანდაგო კოლონების მექანიზმებით დაკომპლექტების გეგმის დაყვანა ლიანდაგის დისტანციებამდის არა უგვიანეს 1935 წლის 1 იანვრისა.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს უზრუნველყონ სალიანდაგო მასალის (რელსების სამაგრების, შპალების, გასაყვანი მასალის და სხვ.) მიწოდების მიცემული პროგრამის მთლიანად შესრულება.

გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს წინადადება მიეცა დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი ლიანდაგის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის.

შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა შევასრულეთ გადაჭარბებით

კასპი, 7 ოქტომბერი. კასპის რაიონმა შაქრის ჭარხლის ამოღებისა და ჩაბარების **წლიური გეგმა** 5 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. **კოლმეურნეობებმა 58.895 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 62.011 ცენტნერი შაქრის ჭარხალი,** რაც უდრის გეგმის 105 პროცენტს. ნატურანაზღაურების გეგმა 5.700 ცენტნერის რაოდენობით შესრულებულია 100 პროც.

შაქრის ჭარხლის ჩაბარების წლიური გეგმა **გადაჭარბებით შესრულა აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეობებმა.** 13.425 ცენტნერიდან ჩაბარებულია **16.278** ცენტნერი. გეგმის 121 პროც. სულ რაიონში ნატურანაზღაურების გამოკლებით გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით. 72.320 ცენტნერის ნაცვლად ჩაბარებულია 78.989 ცენტნერი.

შაქრის ჭარხლის ამოღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი **კევლიშვილი.**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე **დეკანოზ[illegible]**
სამ.-სატრ. სადგ. პოლიტ[illegible] [illegible]

სარაიონთაშორისო კონფერენციები

მეცხოველეობის საკითხებზე

ახალციხე

(„კომუნისტის“ სპეც. კორ.)

5 და 6 ოქტომბერს ახალციხეში ჩატარდა სარაიონთაშორისო კონფერენცია მეცხოველეობის საკითხებზე. კონფერენციას დაესწრენ ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის და ადიგენის პარტრაიკომების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, რაიმიწგანის გამგეები, უფროსი ზოოტექნიკოსები, რაიონული ვეტექიმები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები.

კონფერენციას ხელმძღვანელობდა საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელი, საქ. მიწსახკომის მოადგილე ამხ. ა. გვარამია, რომლის შესავალი სიტყვის შემდეგ მეცხოველეობის საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. ჭიჭინაძე (ბორჯომი), აზიზ ატიხანი (ადიგენი), ჩიქოვანი (ახალციხე), კატანოვი (ასპინძა), ორდოიანი (ახალქალაქი), დარახჩიევი (ბოგდანოვკა), ზ. კუპრაძე (ციხისჯვარის საბჭოთა მეურნეობა).

გარდატეხა დაიწყო

მოხსენებებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ მე-17 პარტყრილობის შემდეგ მეცხოველეობის განვითარებაში გარდატეხა დაიწყო.

ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევებს მოიპოვა ბორჯომის რაიონმა, სადაც გასულ წელთან შედარებით გაზრდილია მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რიცხვი— 12,9 პროც. წვრილფეხა საქონლის 23,8 და ღორების—84,4 პროც.

სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და ერთპიროვნული მეურნეები იბრძვიან პირუტყვის გამრავლებისა და ჯიშის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით გეგმიანად აწარმოებენ დაგრილებას, ეძებენ ჯიშიან და საუკეთესო ბუღებს. აუმჯობესებენ ძველს და აშენებენ პირუტყვის ახალ სადგომებს, წინასწარ იმარაგებენ საკვებს, რომ პირუტყვმა კარგად დაიზამთროს და უზრუნველყოფილ იქნას მეცხოველეობის შეუფერხებელი განვითარება.

ამ მუშაობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახლავს. მაგალითად ავიღოთ ჯიშის გაუმჯობესების საკითხი: რაიონების უმეტესობა ჯიშიან მწარმოებელს მოითხოვს და ხშირად ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი პირუტყვი, თუ მის ჯიშს გავაუმჯობესებთ, არაფრით არ ჩამოუვარდება „შვიცს“ ან „სიმენტალს“, ზოგჯერ უფრო სასარგებლოცაა, ვინაიდან შეხამებულია ადგილობრივ კლიმატსა და რელიეფთან.

საქმიწსახკომმა დაავალა რაიონებს შეერჩიათ ადგილობრივ საუკეთესო ბუღები და მოეწყოთ გეგმიანი დაგრილება. ბევრგან ეს მითითება არ შეასრულეს, თავი არ შეიწუხეს ბუღების ძებნით, შერჩევით და. ბუღების ნათხოვრობა ან ქირაობა ამჯობინეს.

ახალქალაქის რაიონის მუშაკები აცხადებენ, რომ მათ რაიონს არ აღმოაჩნდათ ბუღების საკმაო რაოდენობა, მაშინ, როცა ასპინძის რაიონს ახალქალაქის რაიონში უქირავებია ბუღები და თითო დაგრილებაში (ერთპიროვნულ მეურნეობაში) ორი ვირვანქა კარაქი ან ხუთი მანეთი ფული გადაუხდიათ.

ეს მაგალითი მოწმობს, რომ ბუღების შერჩევას, მათ აღრიცხვას და გეგმიანად გამოყენებას სერიოზული ყურადღება ჯერ კიდევ არ ექცევა.

ფერმების გამოკლებით, კოლმეურნეობებში განსაზოგადოებულია უმთავრესად მუშა-პირუტყვი, რომელიც სისტემატიურ განახლებას მოითხოვს ამ მიზნით მიწსახკომმა წინადადება მისცა რაიონულ ორგანიზაციებს ჩაეტარებიათ მუშაობა ადგილებზე. რომ კოლმეურნეობებს დაედოთ ხელშეკრულებები კოლმეურნეებთან სახარე მოზვრების აღზრდის შესახებ, რისთვისაც მათ უნდა დაერიცხოს შრომა-დღეების განსაზღვრული რაოდენობა.

ეს მითითება რაიონების მეტ ნაწილს არ შეუსრულებია. ზოგი რაიმიწგანი (ასპინძა) ამ ინსტრუქციასაც არ იცნობს.

ნაყოფიერი საკვები პირუტყვს

მიმდინარე წლამდე საძოვრები მოუვლელი და გაუპიროვნებელი იყო. მათ ექსპლოატაციის ნამდვილი მტაცებლური ხასიათი ქონდა. წელს მდგომარეობა შეიცვალა; საძოვრები ახლა მიმაგრებულია ცალკე სოფლებსა და კოლმეურნეობებზე.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა საძოვრების მოვლა, გაწმენდა, გასუფთავება; ზოგან საჭიროა საძოვრის გამოთესვა, რომ მთელი ფართობი იქნას გამოყენებული.

მთავარი კი საძოვრების წესიერი ექსპლოატაციაა: პირუტყვი არ უნდა გაირეკოს საძოვარზე ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე, რაც ხელს შეუშლის ბალახის ამოზრდას და მომაგრებას.

არსებულ ბუნებრივ საძოვრების მოვლასთან ერთად. მეცხოველეობის განვითარებისათვის ჩვენში მთავარ პირობას წარმოადგენს საკვები ბალახების თესვა.

საჭიროა თბილი და ნათელი ბინა

პირუტყვის წესიერად დაზამთრებისათვის საკვებთან ერთად მთავარია ბინა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ბოსლების მშენებლობის გეგმა შესრულებული არ არის. მოწინავე-ბორჯომის რაიონსაც კი, გეგმით გათვალისწინებულ 1846 სულის ნაცვლად განსაზოგადოებულ ბოსლებში წელს მოთავსებული ეყოლება მხოლოდ 1180 სული პირუტყვი დანარჩენი განსაზოგადოებული პირუტყვი მოთავსებული იქნება კოლმეურნეთა კერძო ბოსლებში.

პირუტყვს უნდა თბილი და ნათელი ბინა ასეთი ბინების მოსაწყობად საჭიროა უმთავრესად ხე-ტყე და ქვა, რომელიც ადგილებზე საკმაო რაოდენობით მოიპოვება. ბოსლების მშენებლობის მხრივ საქმე კარგად აქვს დაყენებული ბოგდანოვკის რაიონს, რომელმაც გეგმით გათვალისწინებულ 58-ის ნაცვლად, ბინებით უზრუნველყო და უკვე მოაწყო 70 საკოლმეურნეო ფერმა. მას დანარჩენმა რაიონებმაც უნდა მიბაძონ.

ყურადღება მეცხოველეობას ერთპიროვნულ მეურნეობებში

ახალციხის სარაიონთაშორისო კონფერენციის მონაწილენი უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ მეცხოველეობის საკითხებს განსაზოგადოებულ სექტორში. ერთპიროვნულ მეურნეობების შესახებ კი კონფერენციაზე ცოტა ითქვა. რაც სწორად აღნიშნა ამხ. ვ. გვარამიამ.

ამჟამად, მთავარ ამოცანას წარმოადგენს ძველი ბოსლების დაჩქარებით შეკეთება, დაწყებული შენობების დამთავრება. სადგომების დეზინფექცია, მათი გათბობა, რომ პირუტყვი უზრუნველყოფილი იქნას მშრალი, სუფთა, ნათელი და თბილი ბინით. ეს უნდა გაკეთდეს არა მარტო განსაზოგადოებულ სექტორში; სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეთა პირუტყვის გამოზამთრებასაც.

პირუტყვის სულადობის შენარჩუნება და განვითარება დამოკიდებულია კარგ კვებაზე, წესიერ მოვლაზე, მუდმივი ბრიგადების შექმნაზე, სავალდებულო ზოოწესების დაცვაზე, პირუტყვის განიავების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ ამოცანების გადასაჭრელად რაიონებმა უნდა დარაზმონ მთელი პარტიული და საბჭოთა აქტივი

ქ. მახარაძე

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

7 ოქტომბერს ქალ. მახარაძეში საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის წარმომადგენლის ამხ. ირ. ხუხუას თავმჯდომარეობით ჩატარდა სარაიონთაშორისო კონფერენცია მეცხოველეობის საკითხებზე. კონფერენციას დაესწრენ: ქ. მახარაძის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის პარტრაიკომების მდივნები, სამ.-სატრ. სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსები, მიწგანების გამგეები და მათი მოადგილეები, ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები და მსხვილ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

პირუტყვის გამოზამთრების შესახებ მოსმენილი ძირითადი მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდა 15 კაცი. კონფერენციამ მუშაობის დამთავრებისას, რომელიც დიდი ინტერესით ჩატარდა, მიიღო სათანადო ღონისძიებები ცალკე რაიონების მიხედვით.

ზამთარი კარგზე მოგვადგა

(აბასთუმანი, ახალციხის რაიონი)

ზეკარის უღელტეხილის საძოვრებზე დაბინავებულია აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს ფერმის მსხვილფეხა საქონელი — 152 ძროხა (მათ შორის 135 მეწველია) და 90 ხბო.

ამ საქონელს, განსაკუთრებით ახალგაზრდა პირუტყვს, ცუდად უვლიან. ფერმის გამგე ბელეცკი და კურორტის პარტორგანიზატორი ამხ. კორნოსტაევი ბევრს ლაპარაკობენ მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრაზე, მაგრამ პრაქტიკული მუშაობა კი დავიწყნიათ.

ღამით ხბოებს ათავსებენ ვიწრო, ნესტიან და უსუფთაო ბოსელში, სადაც მათ თავისუფლად მობრუნებაც კი არ შეუძლიათ. ბოსელში წვიმა ჩადის სახურავიდან და შიგ წყალის გუბეები დგას; ხბოების უმეტესი ნაწილი მოუვლელია და დაავადმყოფებული. აქ 10 ხბო უკვე მოკვდა. ხბოების მომვლელები ცალკე არ არიან გამოყოფილი. ბრიგადირი ამხ. მანუკოვი აცხადებს: „კაცი არ გვყავს, რომ ხბოებს მივუჩინოთ“.

ძროხების წველაც არ წარმოებს წესიერად. წველისათვის მიჩნეულ სადგომში ბინა უსუფთაოდაა, მწველ ქალებს არა აქვთ ხელსახოცები და ხალათები.

— ხალათები მართალია ათი ცალი გვაქვს, მაგრამ არ ვაცმევთ. გაურეცხავიაო, — აცხადებს მანუკოვი.

პროფორგანიზაციაც უხეიროდ მუშაობს არ იწვევენ ფერმის მუშების საწარმოო თათბირებს: მათ შორის არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა არ მიმდინარეობს. მუშები არ იცნობენ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს. მეცხოველეობაზე.

ფერმის გამგე ბელეცკი, ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურად უხელმძღვანელოს და დაეხმაროს მუშებს პირუტყვის მოვლაში, კურორტ აბასთუმანში ცხოვრობს, ფერმიდან 18 კილომეტრის დაშორებით; მთელი ზაფხულის განმავლობაში მან ფერმა მხოლოდ სამჯერ ინახულა. სხვა დროს კი კურორტზე ისვენებდა.

მუშების საცხოვრებელ ბინებში წვიმა ჩამოდის, მოუწესრიგებელია მათი კვებისა და მომარაგების საკითხიც. ამ დღეებში ზეკარის უღელტეხილიდან საქონელი უნდა ჩამორეკონ ქუმლარის საზამთრო საძოვრებზე, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ არის დაწყებული სახბორეებისა და მუშათა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა

ზეკარის უღელტეხილზე აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს ფერმის გვერდით იმყოფება კოლმეურნეობების მომთაბარე პირუტყვი; კოლმეურნე მწყემსები ხბოებს საკუთარი შვილივით უვლიან, მათი პირუტყვი მსუქნად და ჯანსაღადაა. ეს იმას მოწმობს, რომ აქ საუკეთესო ბუნებრივი პირობები არსებობს მეცხოველეობის განვითარებისათვის, რომ კურორტთა სამმართველოს ფერმის ცუდი მდგომარეობა უყურადღებობისა და უხეირო ხელმძღვანელობის შედეგია.

ვ. კალანდია

ლორების გაჭირვება

(„კომუნისტის“ საქ. კორ.)

ყაზბეგის რაიონში სუსხიანმა სიცივემ დაისადგურა და ჩრდილოეთის ცივმა ქარმა დაჰბერა მთები თოვლის თეთრ საბანში გაეხვია. რამოდენიმე ათეული-ათასი ცხვარი, რომელიც დღემდე ძოვდენ ყაზბეგის საზაფხულო იალაღების ნოყიერ ბალახს, ბარისაკენ დაიძრა.

მაგრამ ცხვარს რა უშავს! გაკრეჭის შემდეგ მათ მატყლი ისევ წამოეზარდა და თბილად გრძნობენ თავს.

სულ სხვაა ღორი—უხეში ჯაგარი ვერ იცავს სიცივისაგან. ღორს ძალიან ეშინია სიცივის. სიცივისაგან აცახცახებული გოჭებიც თავიანთ დედებს ჭყიპინით დასდევენ და თბილ სადგომებისაკენ ეშურებიან (თუ ასეთი აღმოჩნდა სადმე).

ღორები გაჭირვებაში ჩააგდო ზამთრის მოახლოვებამ, მაგრამ სიონის სას. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გოგი შადურს რატომღაც არ სურს გაუწიოს ანგარიში ამ ცხოველების გაჭირვებას.

5 სექტემბერს, სას. საბჭოს პრეზიდიუმმა (ოქმი № 3) გამოიტანა ასეთი დადგენილება:

„სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი პირნი, თითოეულ ღორზე 10 მანეთით და გოჭზე 5 მანეთით.. (ჩამოთვლილია 12 კაცი, დაჯარიმებული 5-დან 45 მანეთამდე). ამასთან, დაევალოს ღორის მეპატრონეებს 7 სექტემბრიდან გარეკონ მთაში ღორები“.

ამრიგად დაკანონდა სიონის სას. საბჭოში ზამთრის პირზე ღორების მთაში გარეკვა, მიუხედავად იმისა. რომ საქმიწსახკომის მიერ შემუშავებულ საძოვრების აგროწესებში ნათქვამია: „წვრილ და მსხვილ ფეხა საქონლისათვის მიჩნეულ საძოვრებზე სასტიკათ აკრძალულია ღორების გაშვება. რადგან ისინი დიდ ზიანს აყენებენ ამ საძოვრებს და გამოიწვევენ მათ გაუქმებას“

სიონის სას. საბჭო არ ცნობს ამ აგროწესებს, მას მხოლოდ თავისი დადგენილება მიაჩნია კანონად.

„დაჯარიმების ციფრები“ თავის დროზე დაიყვანეს ღორის თვითეულ მეპატრონემდე. მილიციელი დადის ამ ჯარიმის ასაკრეფად, იგი მტკიცედ და ურყევად ასრულებს სასოფლო საბჭოს დადგენილებას.

ღორის მეპატრონეები ამჟამად ორ ცეცხლს, ან უკეთ რომ ვთქვათ, სამ ცეცხლს შუა არიან მომწყვდეულნი. მთაში გარეკვა ნიშნავს ღორების და გოჭების დახოცვას, საძოვრის დაზიანებას და გაუქმებას, ხოლო სახლში დატოვებას და გამოკვებას დაჯარიმება მოსდევს.

რაიაღმასკომს კი, რომელიც გაეცნო სიონის სასოფლო საბჭოს ზემოაღნიშნულ დადგენილებას, ჯერჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია და არც მითითებია საბჭოსათვის ამ უხეში დადგენილების გაუქმებაზე.

რაიაღმასკომის ეს დუმილი უდრის სასოფლო საბჭოს უკანონო — დადგენილების დაკანონებას და ელემენტარულ საკითხებში გაურკვევლობას.

ნეტავ რას ფიქრობს ყაზბეგის პარტიის რაიონული კომიტეტი?

ანდრო შადური.

კოლმეურნე ვასო ქარდავა, რომელიც სანიმუშოთ უვლის მუშა - პირუტყვს (კოლმეურნეობა „ახალი შარა“ (აფხაზეთი)

პარტიულ თემაზე

მეტი ყურადღება პარტსწავლებას

საშემოდგომო - საზამთრო პარტიულ სწავლებისათვის მოსამზადებელ პერიოდში ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ სკოლების სწორად დაკომპლექტებას და მათში მსმენელთა დიფერენცირებულად ჩაბმას. ზაფხულში სწორედ ამ მხრივ ქონდა ადგილი უარყოფით მოვლენებს და მათი განმეორების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო პრაქტიკულ ღონისძიებათა ჩატარება, ძირეული პარტიული ორგანიზაციების ყურადღების გამახვილება.

1934-35 სამოსწავლო წლისათვის სტალინის რაიონში ჩამოყალიბებულია სულ პარტიული განათლების 193 ერთეული, რომელშიაც გაერთიანებულია 3.183 კაცი; ამ რაოდენობიდან პარტიულია 2.367.

ზაფხულში ცალკე პირველად პარტორგანიზაციებთან არსებულ ზოგიერთ პოლიტსკოლაში უპარტიონი უფრო მეტი რაოდენობით იყვნენ ჩაბმული, ვიდრე პარტიულები, ამჟამად კი ასეთ მდგომარეობას აღარ აქვს ადგილი.

პროპაგანდისტთა ძირითადი კადრის შექმნისა და მათი პოლიტიკური დონის ამაღლების მხრივ არის ერთგვარი მიღწევები ზაფხულის პერიოდთან შედარებით. მოეწყო პარტკურსები, სადაც [illegible] 91 კაცი. საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტთან არსებულ კურსებზე სწავლობდა 10 ამხანაგი, მუშა-პროპაგანდისტთა კურსები (ქართულ და რუსულ ენებზე) განვლო 60 კაცმა, საღამოს საბჭოთა პარტსკოლაში სწავლობდა 150 კაცი და სხვ.

ხაზი უნდა გაესვას ამ მდგომარეობას, რომ პროპაგანდისტთა არსებული კადრი — 213 კაცი სავსებით ვერ აკმაყოფილებს რაიონში არსებულ პოლიტსკოლების მოთხოვნილებას.

პროპაგანდისტთა კადრის ნაკლებობის მიუხედავად კომკავშირს გადაეცა 20 კვალიფიციური პროპაგანდისტი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მარქსისტულ - ლენინური სწავლების ხარისხი კომკავშირის ორგანიზაციებში,

21 სექტემბრისათვის უკვე დამთავრებული იყო მთელი მოსამზადებელი მუშაობა შემოდგომა - ზამთრის პარტიულ სწავლებისათვის. 28 სექტემბერს ჩატარდა პირველი მეცადინეობა, ხოლო 2 ოქტომბერს — მეორე.

არ იქნება სწორი იმის თქმა, თითქოს მოსამზადებელ მუშაობას არ მოყოლოდეს დადებითი შედეგი, არ გამოვლინებოდეს პარტიული სწავლების ბოლშევიკურად დაყენების კონკრეტული მაგალითები. მაგრამ ამ დადებით მოვლენებზე შეჩერება ჩვენ ამჟამად არ მიგვაჩნია საჭიროდ.

შევეხოთ იმას, თუ როგორ მაჩვენებლებს იძლევიან ჩატარებული მეცადინეობის პირველი შედეგები. 28 სექტემბერს მეცადინეობა ჩაიშალა 20 პოლიტსკოლაში. „ტორგსინის“ პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში სწავლება ჩაიშალა იმიტომ, რომ დროზე ვერ გამონახეს ბინა მეცადინეობისათვის. ტფილსახკვების და „საქპურტრესტის“ პოლიტსკოლებში პროპაგანდისტები: გოგიჩაიშვილი, მონოსიანი და კოჩაროვი პროგრამებით არ გამოცხადებულან, რის გამოც ჩაიშალა მეცადინეობა, ხოლო არტელ „მკერვალის“ პარტორგანიზატორმა შარაშენიძემ სწორედ მეცადინეობის დღე! დაურიგა მუშებს თეატრსა და კინოში დასასწრები უფასო ბილეთები...

ზოგიერთი პროპაგანდისტი რომ არ გრძნობს პასუხისმგებლობას მინდობილ საქმისათვის იქიდან ჩანს, რომ 12 პოლიტსკოლაში მეცადინეობა მათი დროზე გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა.

ცხადია, რაიონული პარტიული კომიტეტი ერთი წუთითაც ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას; 29 სექტემბერს რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი პარტიული სწავლების პირველი შედეგების შესახებ და მიიღო სათანადო ღონისძიებანი შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. „ზაკცვეტმეტის“, ფერომარგანეცის, ვოროშილოვის სახ. ქარხნების, საქკარაქმრეწველობის, „ტექნომრეწვის“ და № 2 ლუდის ქარხნის პირველად პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს უმოქმედობისათვის პარტიულ სწავლებაში მიეცათ გაფრთხილება და მიეთითათ, რომ დაუყოვნებლივ მოახდინონ მკვეთრი გარდატეხა პარტგანათლების ქსელის მუშაობაში.

გაფრთხილება მიეცათ პროპაგანდისტებს: ალავიძეს, ოქროპირიძეს, ისაკოვას, პიკიჩიკიანს, შველიძეს, აკოპიანს, ბაბასიანს, ჯიბუტს და კრეიტანოვს იმისათვის, რომ ისინი უპასუხისმგებლობას იჩენენ საპროპაგანდო საქმისადმი.

მეორე მეცადინეობის დროსაც დაურჩა ადგილი მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს. 2 ოქტომბერს მეცადინეობა ჩაიშალა 10 პოლიტსკოლაში, აქედან 6 პოლიტსკოლაში პროპაგანდისტების გამოუცხადებლობის და ოთხში — პარტორგანიზატორების მიზეზით.

რას გვეუბნება ყოველივე ეს?

ზემომოყვანილი ფაქტები იმას მოწმობს, რომ პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელი ამხანაგები (ზოგიერთები რასაკვირველია!) პარტიულ სწავლებას, რბილად რომ ვთქვათ, მეორე ხარისხოვან სამუშაოდ თვლიან.

აშკარად უნდა ვამხილოთ და შეუბრალებლად აღვკვეთოთ პარტიული სწავლების ოპორტუნისტული შეუფასებლობა. ჩვენი „ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გზადაგზა სასწრაფოდ გამოვასწოროთ დეფექტები და შემდეგშიაც, მთელი წლის მანძილზე უზრუნველვყოთ დაუღალავი კონტროლი და რეალური დახმარება გაუწიოთ თვითეული კომუნისტს პარტიულ სწავლებაში“. („პრავდა“).

პირველად პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს ერთი წუთითაც არ უნდა დაავიწყდეთ, რომ „პარტიული სწავლების ორგანიზაცია პარტიულ კომიტეტთა მდივნებისა და ორგანიზატორებისათვის ამჟამად ძირითად პარტიულ სამუშაოს წარმოადგენს“.

აქედან თავისთავად იგულისხმება, რომ პარტიული სწავლების ოდნავი შეუფასებლობა, მისი უგულებელყოფა შეუთავსებელია პარტორგანიზაციის ხელმძღვანელ რგოლთან.

მეტი პასუხისმგებლობით და სერიოზულობით მოვეკიდოთ ბრძოლას რევოლუციური თეორიის დაუფლებისათვის. დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ დეფექტები, პარტიულ სწავლებაში.

ა. კარნიცკი

(საქ. კ. პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივნის მოადგილე)

ვიბრძოლოთ პარტსწავლების მაღალ ხარისხისათვის

(ტრამვაი)

ტფილისის ტრამვაის მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია დროზე შეუდგა საშემოდგომო - საზამთრო პარტსკოლების დაკომპლექტებას. აქ არის პარტსწავლების 30 ერთეული, რომელშიც გაერთიანებულია 585 მსმენელი. აქედან პარტიის წევრია 269, კანდიდატი — 60, თანამგრძნობთა ჯგუფის წევრი — 44; დანარჩენი უპარტიოებია. პოლიტსკოლები უზრუნველყოფილია ბინებით, განათებით, დაფებით და საჭირო ლიტერატურით, მაგრამ უნდა აღინიშნოს სახელმძღვანელო „ლენინიზმის საკითხების“ 50 პროცენტის უქონლობა, რაც სკოლების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის. პროპაგანდისტებად ადგილობრივი ძალები არიან გამოყენებული: მათ ხელმძღვანელობს ადგილობრივი პარტკაბინეტი.

სკოლების დაკომპლექტების პერიოდში თვითეულ მსმენელს დაურიგდა „ცნობარი“, რომელშიც გარკვევით არის ნაჩვენები, თუ რომელ წრეში უნდა იმეცადინოს მან. ამასთან ერთად ადგილობრივ პარტკაბინეტში მოეწყო პროპაგანდისტების სემინარი. აქ იკითხება ლექციები სწავლების მეთოდიური მუშაობის საკითხებზე. ტრამვაის მეურნეობაში საშემოდგომო - საზამთრო პარტიულ სწავლების ორგანიზაციის პერიოდში მთელი ყურადღება იმას ექნება მიქცეული, რომ აღმოიფხვრას ყველა შემჩნეული ნაკლი. გაიშალა ბოლშევიკური ბრძოლა იმისათვის, რომ „მეტი პასუხისმგებლობა იგრძნონ პარტგანათლების დარგში პარტკომის მდივანმა და თვითეულმა კომუნისტმა“, რომ ამ საქმეში „მათ ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როგორც უმნიშვნელოვანესი სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიის ჩატარებისათვის“. (ბერია).

პროპაგანდისტების მოხერხებული და სწორი მიდგომით მსმენელნი დაინტერესდნენ მეცადინეობით. ამან თავის მხრივ გამოიწვია სასწავლო დისციპლინის გამტკიცება და სოციალისტური შეჯიბრება - დამკვრელობის გაძლიერება პარტსწავლების მაღალ ხარისხის მისაღწევად.

პირველი მეცადინეობა 21 სექტემბერს იყო: დასწრება უდრიდა 93 პროც. მეორე მეცადინეობა შესდგა 25 სექტემბერს. სამეცადინო კაბინეტებში შეკრებილი მსმენელები საუბრობდენ წინა მეცადინეობის დროს მიცემულ განაკვეთზე. მსმენელებს და პროპაგანდისტებს არ გაუცდენიათ მეცადინეობა.

ამგვარად, წინანდელთან შედარებით საშემოდგომო - საზამთრო პარტიულ სწავლებისათვის სკოლების დაკომპლექტება და მთელი მოსამზადებელი მუშაობა უფრო ორგანიზებულად ჩატარდა. ყოველივე ეს უნდა მიეწეროს ტრამვაის პარტკომის დაუღალავ მუშაობას. საჭიროა მოპოვებულ მიღწევების შენარჩუნება და მისი განმტკიცება.

ა. ფანცულაია

დ. კოძახიძე

აღვკვეთოთ დამახინჯებები მოსავლის განაწილებაში

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-მა მ. წ. 27 აგვისტოს გამოიტანა დადგენილება მოსავლის განაწილების საკითხებზე. საქმიწსახკომმა და პოლიტსექტორმა მოსავლის განაწილებაზე დროულად დაუშვეს რაიონებში კონკრეტული დირექტივა და ყველა საჭირო ინსტრუქცია.

კონტროლისა და დახმარების მიზნით რაიონებში გაიგზავნენ პასუხისმგებელი მუშაკები.

მოსავლის განაწილების მიმდინარეობის შემოწმებამ (საქმიწსახკომის პოლიტსექტორის ხაზით) ნათელყო. რომ რიგ კოლექტიურ მეურნეობებში, იქ, სადაც შრომის ორგანიზაცია, პარტმასობრივი მუშაობა და ხელმძღვანელობის საკითხი მოწოდების სიმაღლეზე დგას, გასულ წელთან შედარებით ადგილი აქვს შრომადღეების ღირებულების საგრძნობ ზრდა ასე, მაგალითად, აგარის სამ.-სატრ. სადგ. სამოქმედო რაიონში სოფ. ქ. იმერის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ შარშან შრომადღეზე ერგოთ 3,6 კილოგრამი ხორბალი, მიმდინარე წელს კი 7,7 კილოგრამი; სიმინდი გასულ წელს— 5 კილო, მიმდინარე წელს—7,3 კ. ასევე სხვა პროდუქცია. სოფ. ლელეთ კოლმეურნეობაში გასულ წლის შრომადღეზე ხორბალი შეხვდათ [illegible] კილო, მიმდინარე წელს კი 6,7 კილოგრამი. ამ კოლმეურნეობაში სიმინდის, ქერის და სხვა პროდუქტების ხვედრიც გასულ წელთან შედარებით წელს გაცილებით მეტია.

თელავის სამ.-სატ. სადგურის მოქმედო რაიონში ს. აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“ გასულ წელს შრომადღეზე მოდიოდა 1,9 კილო ხორბალი, წელს კი 3,6 კილოგრამი. სხვა პროდუქტების მიმართაც არის ზრდა.

ზემოაღნიშნული ფაქტები ნათლად მოწმობენ იმას, რომ კოლმეურნეობებში მიმდინარე წელს გაცილებით მეტი შემოსავალია ვიდრე შარშან იყო. ყოველივე ეს ნათლად ამტკიცებს მას, რომ კოლმეურნეები ადგენ შეძლებული ცხოვრების გზას, მათი კეთილდღეობა დღითი დღე იზრდება.

მოსავლის სწორათ განაწილებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს კოლმეურნეობათა ზრდას და ახალ კოლმეურნეობათა დაარსებას. მაგ. სტალინისის რაიონში ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობა 15 მეურნის შემადგენლობით (ქარელი) შემოვიდა ახალი წევრი 30-მდე, ასევეა გორის, თელავის, სიღნაღის და სხვა რაიონებში. თელავში დაარსდა 4 ახალი კოლმეურნეობა. ძველ კოლმეურნეობებს შეემატა 100-ზე მეტი ახალი წევრი.

აქ შეგვეძლო მოგვეყვანა მთელი რიგი ფაქტები იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ იზრდებიან და მტკიცდებიან კოლექტიური მეურნეობანი, მაგრამ მიღწევები ჩვენია. მთავარია ვამხილოთ შეცდომები და დამახინჯებანი, რათა მის გამოსწორების საფუძველზე შევძლოთ კოლმეურნეობათა კიდევ უფრო განმტკიცება და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლება.

მთელ რიგ რაიონებში ვერ უზრუნველყვეს მოსამზადებელი მუშაობის ნამდვილი ორგანიზაცია. მაგ. სამხრეთ-ოსეთში მოსავლის განაწილების საკითხებზე ერთიანი პარტიული დღეები ჩაატარეს 22—23 სექტემბერს, მაშინ, როდესაც ამ დროისათვის მოსავლის განაწილება ძირითადად დასრულებული უნდა ყოფილიყო. კოლმეურნეობებში დასახმარებლად პასუხისმგებელი მუშაკები და ბუღალტრები გაგზავნეს მხოლოდ 19—20 სექტემბერს. სტალინირის რაიმიწგანის უფროსმა არც კი იცოდა—რამდენ კოლმეურნეობებში ჰყავთ ფიზიკური შრომიდან განთავისუფლებული მუშაკები.

აგარის სამ.-სატრ. საცგ. 86 კოლმეურნეობას მხოლოდ 7 პასუხისმგებელი მუშაკი დაამაგრეს. სტალინისის რაიონმა კი იმ მოტივით. რომ მას ადგილზე „ჰყავს“ სათანადო კვალიფიკაციის მუშაკები, კოლმეურნეობებს არც ერთი მუშაკი არ მიამაგრა

გურჯაანის სამ.-სატ. სადგურის ხაზით მობილიზებულ 9 მუშაკიდან კოლმეურნეობებში მხოლოდ 5 კაცი გაიგზავნა. პოლიტგანყოფილებების უფროსებმა და სამ.-სატ. სადგურის დირექტორებმა მოსავლის განაწილების საქმეების განხილვა - დამტკიცება მიანდვეს მოადგილეებს და თანაშემწეებს (კასპი), რიგ რაიონებში მოსავლის განაწილების სქემის განხილვა ატარებდა ფორმალურ ხასიათს.

არის შემთხვევები, როდესაც მოსავალს ანაწილებენ ისეთ კოლმეურნეობაშიაც, სადაც ფაქტიურად არ იყო შესრულებული სახელმწიფო ვალდებულება, სამ.-სატ. ნატურ ანაზღაურება და სავალდებულო ფონდების გამოყოფა.

მიუხედავად ამისა, რომ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლ. 4 თებერვლის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ბრიგადის მიღწევების მიხედვით შრომადღის ღირებულების შეფასების გადიდება შემცირების აუცილებლობის შესახებ, შემდგომში დადგენილებებიც. (იხ. საქ. კ.პ. (ბ) ცენტ. კომიტ. და სახკომსაბჭოს გ.წ. 5 ივლისის და მიმდინარე წლის საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. 27 აგვისტოს დადგენილებები). ამ გარემოებას განსაკუთრებით ხაზს უსვამს. **აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში არ ტარდება 20 პროცენტის ფარგლებში წარმატებათა მიხედვით ბრიგადებისათვის შრომადღეების დარიცხვა დაკლება და ამდენადვე შრომა-დღეების ღირებულების გადიდება შემცირება**

აგარის სამ.-სატ. სადგურის 8 კოლმეურნეობიდან 20 პროც. ფარგლებში ბრიგადების მიხედვით შრომადღეების ჩამოკლება-დარიცხვა მხოლოდ 4 კოლმეურნეობაში გაატარეს. გურჯაანის 60 კოლმეურნეობიდან— 13-ში. გორის სამ.-სატ. სადგურის მომსახურეობაში შემავალ 85 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 4 კოლმეურნეობაში. ასეთივე მდგომარეობაა ლაგოდეხის, ყვარელის. თელავის, კასპის და სხვა რაიონებში.

ზოგჯერ 20 პროცენტის ფარგლებში შრომადღეების დარიცხვა დაკლება ფორმალურ ხასიათს ატარებს. მაგ. სოფ. ხიდისთავის კოლმეურნეობაში (გორი) ბრიგადას ცუდი მუშაობისათვის შრომადღეები მხოლოდ 0,3 პროცენტით შეუმცირეს. რაც სრულიად უმნიშვნელოა.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომადღეებზე ნაწილდება მარცვლეულის საერთო შემოსავლის მეტად მცირე ნაწილი, რაც აშკარათ ეწინაალმდეგება პარტიულ დირექტივას. ანელებს კოლმეურნეთა შეძლებულებათ გადაქცევის საქმეს. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი პირველყოვლისა უნდა ვეძიოთ იმაში, რომ რიგი კოლმეურნეობანი ზედმეტად გაიტაცა ნებაყოფლობითი ფონდების გამოყოფის სურვილმა. ასე, მაგალითად, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ (სიღნაღის რაიონი) მიღებულ 2.875 ცენტნ. ხორბლიდან შრომადღეებზე გაანაწილეს მხოლოდ 1.200 ცენტნ., ე. ი. საერთო მოსავლის 41,9 პროც.

ამ კოლმეურნეობაში განუყოფელი ფონდის გასაძლიერებლად გადადებულია 82 ცენტნერი ხორბალი, საზოგადოებრივ ფონდებში 32,5 ცენტნ. ტრაქტორისტებისათვის 16 ცენტნ. განსაკუთრებულ ფონდის სახით, მაშინ როდესაც ტრაქტორებისათვის გამოყოფილი ხორბლეული უნდა შედიოდეს შრომა დღეებზე გასანაწილებელ მარცვლეულში.

სათესლე მასალა გამოყოფილია 5 ცენტნერით მეტი, ვიდრე საჭიროა სინამდვილეში. 15 პროც. სათესლე სადასაზღვევო ფონდში ზედმეტათ არის გამოყოფილი 7 ცენტნ. ყოველივე ამის შედეგად, ცხადია, შრომადღეებზე გასანაწილებელი ხორბლის წილი შემცირდა.

ასეთივე მდგომარეობაა ამავე რაიონის კოლმეურნეობა „იმედში“ აქ ცალკე „ფონდათ“ გამოყვეს ტრაქტორისტებისათვის და სხვადასხვა სახის არასავალდებულო ფონდებში 54 ცენტნერი ქირიახული. ამ კოლმეურნეობაში ხორბლის საერთო მოსავალი უდრის 939 ცენტნერი. შრომადღეებზე კი ნაწილდება 379 ცენტნერი ანუ ხორბლის საერთო მოსავლის 39,9 პროც. ამავე კოლმეურნეობებში ადგილი აქვს წლის ბოლომდე გამოსამუშავებელ შრომადღეების რაოდენობის გაბერვას. კოლმეურნეობა „იმედში“ მოსავლის განაწილების დროს დახარჯული იყო 6.731 შრომადღე, შემოდგომის ხვნა თესვაზე კი გაითვალისწინეს დამატებით 3.555 შრომადღე. რა თქმა უნდა, რომ შრომადღეების ეს რაოდენობა გაორკეცებით არის აღებული.

ნებაყოფლობითი ფონდების გამოყოფის ზედმეტათ გატაცებით, შრომადღეების რაოდენობის ხელოვნურად გაბერვის პრაქტიკის და მოსავლის განაწილების წესის უცოდინარობის შედეგათ ამავე კოლმეურნეობაში ერთი-სამათ შემცირდა შრომადღის ღირებულება.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში (განსაკუთრებით აგარა) მოსავლის განაწილების სქემაში არ შეიტანეს კოლმეურნეთა შრომადღეებზე გასანაწილებელი უხეში საკვები, ბზე, ნამჯა და სხვა. კოლმეურნეებმა არც კი იციან თუ რამდენი რაოდენობის საქონლის საკვები ფურაჟი ეძლევათ მათ. ყვარელის რაიონში კოლმეურნე მწყემსმა განაცხადა „არ ვიცი რა გვეხება, რასაც მომცემენ იმას წავიღებო“.

რიგ კოლმეურნეობებში შრომადღეებზე გასანაწილებელ მარცვლეულში მექანიკურათ შეიტანეს მარცვლეულის ის ნაწილიც, რომელსაც კოლმეურნეობა ღებულობს (ყიდულობს სახელმწიფო ფასებში შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის ხაზით. ქარელის კოლმეურნეობაში (აგარა). შაქრის ჭარხლის დასაქონლების სახით მიღებული 126,5 ცენტნერი ხორბალი შეიტანეს კოლმეურნეობის მინდვრებიდან მიღებული მარცვლეულის საერთო რაოდენობაში, მაშინ, როდესაც აღნიშნული ხორბალის (126.5 ცენტ.) ნაწილი მიღებულია და განაწილებულია შრომადღეებზე, ნაწილი კი ჯერაც მიუღებელია. ამით ხელოვნურად და უმართებულოდ გაიზარდა შრომადღის ხვედრი, მაშინ როცა იგი სინამდვილეში გასულ წელთან შედარებით ნაკლებია.

ბევრგან დარღვეულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წლ. 21 სექტემბრის დადგენილება „ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურების დარგში. ამ დადგენილებით ტრაქტორისტს შრომადღეზე თანაბრათ ეძლევა შრომა-დღის სრული ღირებულება (საერთო წესით ყველა სახის პროდუქტები, აგრეთვე ფული, კონტრაქტაციის ხაზით მიღებული პროდუქტები, მაგრამ არა ნაკლებ 3 კ.-გრ. მარცვლეულისა და 2 მან. 50 კ. **სამხრეთ-ოსეთში ტრაქტორისტებს მხოლოდ მარცვლეულს და ფულს აძლევენ დანარჩენ პროდუქტებს კი** არა.

გაუგებრობას იწვევს ადმინისტრატიულ სამმართველო აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების საკითხები. საკავშირო მიწსახკომის მ. წ. 26 იანვრის დადგენილებით კოლმეურნეობაში, სადაც 30 კომლზე ნაკლებია, ფიზიკური შრომიდან არ თავისუფლდებიან თავმჯდომარეები, და მოანგარიშეები.

აქ თავმჯდომარე უნდა ასრულებდეს ბრიგადირის მოვალეობასაც, ამ შემთხვევაში მისი შრომა ხამმაგათ შეფასდება. ფიზიკური შრომით გამომუშავებს გარკვეულ რაოდენობის შრომადღეებს, როგორც ბრიგადირს, შესაძლებელია დამატებით დაერიცხოს მის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობიდან 30 პროცენტის ფარგლებში. თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისათვის კი მას ყოველთვიურად ერიცხება 10—12 შრომადღე. ეს მტკიცე დირექტივა თითქმის არც ერთ კოლმეურნეობებში არ ტარდება.

კოლმეურნეობებში,(სადაც 30 კომ. ნაკლებია) მოანგარიშეს ყოველ თვიზე ნაკლებია), მოანგარიშეს ყოველთვიურად ერიცხება 10-12 შრ.-დღე, დღე, იმ ანგარიშით, რომ ისინი უშუალოდ წარმოებაში ფიზიკურათაც უნდა მუშაობდენ, ეს კი არ ტარდება ცხოვრებაში. ასევე ითქმის მეცხოველეობის ფერმების განთავისუფლებული გამგეების შესახებ.

მოსავლის განაწილების საკითხს არ დაუკავშირეს კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის წინასწარი გაანგარიშება და ამით შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის ვერ გაითვალისწინეს შრომადღის სავარაუდო ღირებულება. შემოწმებამ ნათელყო, რომ კოლმეურნეობებში მიუხედავად იმისა, რომ მარცვლეული შრომადღეებზე 60 პროც. მეტი ნაწილდება, წლის ბოლოს კოლმეურნეობის საერთო, შემოსავლის მხოლოდ 20—30 პროც. ანაწილებენ. იმის გამო, რომ საფინანსო გეგმები უმსგავსოთ არის შედგენილი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები კოლმეურნეობის ფულად შემოსავლის მთელი 100 პროცენტით მშენებლობაზე (კაპიტალურ დაბანდებაზე) ადმინისტრატიულ - სამმართველო და სხვაში ხარჯავენ.

მხედველობიდან უშვებენ იმას, რომ კოლმეურნეობას უფლება აქვს განუყოფელი ფონდის ანგარიშზე გახარჯოს წლის განმავლობაში არა უმეტეს კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 15 პროც. (პროდუქტები გადაყვანილი დამზადების მტკიცე ფასებზე და ფულადი გადასახადის, დაზღვევის, სახელმწიფო ვალების) კრედიტების სას. სამ. გადასახადების, სათესლე და საფურაჟე ფონდების ღირებულების გამოკლების შემდეგ **ერედვის კოლმეურნეობაში კი განუყოფელი ფონდის ანგარიშზე გახარჯეს საერთო შემოსავლის 50 პროცენტზე მეტი**. ერედვის კოლმეურნეობა არ არის გამონაკლისი; ასეთი მაგალითები ხშირია.

ზემოაღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციაში ყველაფერი რიგზე როდია. პარტკომებს, სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებებს, რაიმიწგანებს და ძირეულ პარტორგანიზაციებს მმართებს ზემოაღნიშნულ დეფექტების და დამახინჯებათა გამოსწორებისათვის გადამჭრელი ზომების მიღება.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკამ და მიწსახკომის პოლიტსექტორმა მთელ რიგ კოლმეურნეობებში გააუქმა ჩატარებული მოსავლის განაწილება. ცეკას და პოლიტსექტორის დადგენილების საფუძველზე ყველა რაიკომის მდივნებმა პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა პირადათ უნდა გადასინჯონ ყველა კოლმეურნეობაში მოსავლის განაწილების ნამდვილ მდგომარეობა. მინიმუმამდე შეამციროს და და ზოგჯერ სრულიად უარყოს კოლმეურნეობებში სხვადასხვა ნებაყოფლობითი ფონდების გამოყოფა. გადასინჯოს წლის ბოლომდე გამოსამუშავებელ შრომადღეთა რაოდენობა და დაიყვანოს მისი რაოდენობა რეალურ საჭიროებამდე.

ბრიგადების წარმატებათა მიხედვით შრომადღის შეფასების გადიდება-შემცირება 20 პროცენტის ფარგლებში უსათუოდ უნდა გატარდეს, თუ გვინდა ბრიგადების შორის ნამდვილად მოვსპოთ წვრილბურჟუაზიული გათანასწორების პრაქტიკა და ავამაღლოთ ბრიგადის კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა მასზე გაპიროვნებული ნაკვეთების უკეთესი მოვლა დამუშავების საქმეში.

საქ. მიწსახკომის მ. წ. 26 იანვრის დადგენილებით კოლმეურნეობას უფლება აქვს თავმჯდომარეს და სხვა ადმინისტრატიულ სამმართველო აპარატში მომუშავე პირებს ცუდი მუშაობისათვის ჩამოუკლოს შრომადღეების რაოდენობა 25 პროცენტის ფარგლებში. განა ცოტაა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც ღირსია დაჯარიმების? სამწუხაროთ არ არის ცოტა. საჭიროა ამ გარემოებასაც მიექცეს სერიოზული ყურადღება.

დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის ბრძოლა უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ რაც შეიძლება რეალურათ ავამაღლოთ შრომადღის ღირებულება.

◆

წითელ ჯარში გაწვევა

წინასწარი მუშაობის შედეგი

სტალინის რაიონმა თავი ისახელა, წინასწარ დიდი მუშაობა ჩაატარა, რათა ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა მორიგ გაწვევას. რაიონის პარტიული და კომკავშირული საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იდგა ახალწვეულთა შორის ცოცხალი ოპერატიული მუშაობის წარმოება. ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში ფართოდ გაიშალა მასობრივი მუშაობა, ახალწვეულთა შორის დაამუშავეს საკითხი მათი მოვალეობის შესახებ.

ახალწვეულები ჩაბმულ იქნენ სამხედრო ტექნიკის შემსწავლელ წრეებში, გაჩაღებულ იქნა მუშაობა ვოროშილოვისებურ მსროლელის უფლების მოპოვებისათვის და ნიშან „მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის". გაიზარდა ინტერესი და ენტუზიაზმი სამხედრო სამსახურში წასვლის, სამხედრო ტექნიკის ათვისებისადმი... **და 7 ოქტომბერს დილის 6 ნახევარ** საათიდან სტალინის რაისაბჭოს სამხედრო მაგიდის შენობის წინ ორგანიზაციულად მოდიოდენ ახალწვეულები. ეზოში ახალწვეულები ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილი ესაუბრებოდენ ერთი მეორეს, ერთმანეთს უზიარებდენ თავიანთ გულისთქმას და აზრებს წითელ ჯარში სამსახურის შესახებ.

ერთ-ერთ ჯგუფში ასეთი საუბარიც კი ქონდათ:

— გულით გინდა წითელ ჯარში წასვლა?—ეკითხება ახლად გაცნობილი წვევამდელი მეორეს.

— მინდა და როგორ!

— რა გაინტერესებს წითელ ჯარში?

— ცოდნა, სამხედრო საქმე, გამბედაობა!—უპასუხა მან მკვირცხლად.

— მიგვიღებენ ნეტავ? რა პირობებია საჭირო, რომ წითელ ჯარში მიიღონ კაცი? იკითხა მესამემ, რომელიც შედარებით სხვებთან სუსტი აგებულების ჩანდა.

— პირველი პირობაა სოციალურად მისაღები ელემენტი იყო, მეორე კი ჯანმრთელობა.

მაშ მე წავსულვარ წითელ ჯარში, დაიძახა ერთმა მათგანმა სიხარულით.

— მეც...

— მეც... ხმა მისცენ აქეთ იქიდან.

მე კი მეორე პირობამ თუ არ მიმტყუნა, აუცილებლად გამიწვევენ, თქვა თავისათვის ფერმკრთალმა ახალგაზრდამ.

ამასობაში უკვე 7 საათიც შესრულდა. მემუსიკეებიც მოსულიყვნენ...

უეცრად გაისმა: „ამხანაგო, მწვევანდელებო, დავიწყოთ".

ეზოში ჯგუფ-ჯგუფად გაშლილი წვევამდელები ერთი წუთის განმავლობაში კომპაქტად ჩამწკრივდენ და სულგანაბული ელოდებოდენ განკარგულებას. რამდენიმე წუთის შემდეგ დუმილი ასევე ხელმძღვანელის ხმამ დაარღვია: სიჩუმე! ნაბიჯით!..

და ერთბაშად ყველამ ერთდაიმავე დროს გადადგა ნაბიჯი. მიდიან მწყობრ ნაბიჯით, მათ წინ მიუძღვის სასულე ორკესტრი. ეს კიდევ უფრო ათამამებს მათ ნაბიჯებს, ეს კიდევ უფრო ახალისებს და აღფრთოვანებს მათ გულის თქმას წითელ ჯარში სამსახურისადმი. ამაყად გაიარეს ქალაქის მთავარი ქუჩა. **ისე მწყობრად და ორგანიზაციულად მიდიოდენ, რომ გეგონებოდათ დიდი ხანია სამხედრო სამსახურში ყოფილან და უსწავლიათო.** ასე ორგანიზაციულად მივიდენ სტალინის რაიონის ახალი წვეულები ტფილისის სამხედრო კომისარიატის გამწვევ პუნქტში. ეს იყო სიამაყე სტალინის რაიონის პარკომკავშირულ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის. ახალწვეულები ჯერ კლუბში დასხდენ: აქ მათ მოისმინეს ამხ. **მამალაძის** მოხსენება საერთაშორისო საკითხზე; მომხსენებელმა ილაპარაკა წვევანდელთათვის მეტად მიმზიდველი, საინტერესო და გასაგები ენით.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს თვით მწვევანდელებმა; მკერავი ფაბრიკის მშენებლობის დამკვრელმა მუშამ ამხ. **ახატუროვმა** მწვევანდელებს მოუთხრო თუ როგორი ხალისით და სიხარულით ემზადებოდა მათი ორგანიზაცია გაწვევისათვის, თავის დროზე ჩატარდა აღრიცხვა, წვევანდელები ჩაებენ სამხედრო ტექნიკის შემსწავლელ წრეებში, თავგამოდებით იბრძოდენ ვოროშილოვისებურ სროლის ტექნიკის დაუფლებისათვის, იბრძოდენ და მოიპოვეს უფლება ნიშანი „მზად ვართ თავდაცვისათვის" ტარებისა. ბოლოს მკერავ ფაბრიკის მშენებლობის ორგანიზაციამ დიდი ზეიმით გამოაცილა მწვევანდელები, მათგან 10 დამკვრელი მუშა დააჯილდოვა... ასევე ილაპარაკეს აგრეთვე წვევანდელებმა ამხ. **ქართველიშვილმა, სარიამმა** და სხვებმა. ყველა დიდი ინტერესით უსმენდა ახალწვეულებს რომლებიც მოსულიყვნენ სამხედრო სამსახურში წასასვლელად. მალე კლუბიდან ეზოში გამოვიდენ: ნაწილი ჩაის დასალევად წავიდა, ნაწილი ახალ გაზეთის კითხვას შეუდგა, ზოგიც ორძელზე ვარჯიშობდა, ზოგი იმ ჯგუფს შეუერთდა, სადაც ქვემეხის ნაწილებს ეცნობოდენ და ზოგი კიდევ კალათბურთის თამაშში ჩაება.

სრულ 9 საათზე კომისიამ მუშაობა დაიწყო.

უკვე დღის 3 ნახევარ საათზე კი წვევანდელები გულის ფანცქალით ელოდენ შედეგებს, ვინ გახდა ღირსეული და მიღებულია წითელ ჯარში და ვინ ულირსია წითელ ჯარისათვის... დიდხანს ლოდინი არ დასჭირდათ.

ამაღლებულ ადგილზე ავიდა სამხედრო პირი, რომელსაც ხელთ ეჭირა სამხედრო წიგნაკები და წვევანდელთა ფურცლები. ჯერ დაიწყო წიგნაკებით გამოძახება.

გათავდა წიგნაკები. ეხლა იწყება ჯარში მიღებულთა გამოძახება. სამხედრო პირის სახე გაუბრწყინდა და ღიმილით ათამაშებული ტუჩებით იძახის მწვევანდელთა გვარებს.—ჯანსაღი ხარ, მიღებული ხარ, მიმართავს წვევანდელს. ჯარში გაწვეულები გაფაციცებით ათვალიერებენ მიღებულთა ფურცლებს და ხმამაღლა გამოსთქვამენ იქ წაკითხულს:—მე უნდა გამოვცხადდე 31 ოქტომბერს, მე კიდევ 19 ნოემბერს, მე კიდევ... და ასე დაუსრულებლად.

წითელ ჯარში მიღებულებმა ერთად ისადილეს, სადილზე ისინი ერთი მეორეს სიხარულით მოუთხრობდენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, თუ როგორ იმოქმედეს კომისიის წევრებმა ან როგორ შეაქო ჯანმრთელობისათვის ექიმმა თვითეული მათგანი.

და აი სადილობის დროს კვლავ შეხვდენ ერთმანეთს დილით გაცნობილი ამხანაგები: გულით გინდოდა ჯარში წასვლა? შეეკითხა პირველი.—მინდოდა და შევდივარ კიდეც.

სურვილი შეგისრულდა; ეხლა რაღას ნატრობ?

— აბა რაღა უნდა მინდოდეს? მიხარია, რომ გავიმარჯვე. და მართლაც, ეს დღე არა მარტო მისი გამარჯვება იყო, გაიმარჯვა აგრეთვე სტალინის რაიონის მუშაკებმა, რომლებმაც განსაკუთრებით კარგი წინასწარი მუშაობა შეასრულეს მორიგი გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის.

ალ. გვინჩიძე.

ახალი მიღწევებით

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხანაში **უკვე შეუდგნენ** მზადებას საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის.

4 ოქტომბერს პლეხანოვის სახ. კლუბში შესდგა ქარხნის პარტორგანიზაციის ღია კრება. მოხსენებით გამოვიდა ტფილისის საბჭოს მდივანი ამხ. **კუცია**, რომელმაც კრებას გააცნო ტფილისის საბჭოს განვლილი სამი წლის მუშაობის შედეგები.

მოხსენების შემდეგ მუშებმა აიღეს ახალი ვალდებულება საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებით. მექვაბე ამხ. **ივანე ხელიხოვი** ამბობს: საბჭოების მე-7 ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ჩვენ ხაქვაბე საამქროს დამკვრელები ვკისრულობთ გადაჭარბებით შევასრულოთ წლიური გეგმა, გადაჭრით აღმოვფხვრათ წუნი, შევამჭიდროვოთ, 7 საათის სამუშაო დრო, საბჭოების მე-7 ყრილობის აღსანიშნავად გეგმის ზევით კაპიტალურად შევაკეთოთ ერთი ქვაბი.

სახარატო საამქროს დამკვრელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ზაგორ ტორიკაშვილმა** და იკისრა ვალდებულება, რომ სახარატო საამქროს კოლექტივი წლიურ გეგმას შეასრულებს 115 პროცენტით, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარების საფუძველზე თვითღირებულებას შეამცირებს 10 პროცენტით; ტექსწავლებაში ჩააბამს ყველა მუშას, აღმოფხვრის წუნს.

ამხ. **ვასილ ჟვანიამ** ორთქლის ურო № 744 გამოაცხადა საბჭოების მე-7 ყრილობის მოწვევის სახელობის დამკვრელ უროდ—არცერთი წუთით უროს გაცდენა—ამბობს იგი—და არცერთი წუნდებული ნაჭედი. ამხ. **კარპოვმა** განაცხადა, რომ სამონტაჟო საამქროს დამკვრელები წლიურ გეგმას შეასრულებენ 105 პროცენტით; დაზგა-მანქანებს ვადაზე ადრე შეაკეთებენ; საამქროში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა ასი პროცენტი ჩაებმება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში.

საელექტრომავლო საამქროში მომუშავე ამხ. [illegible] **მახარაშვილი** ამბობს, რომ საამქრო წლის ბოლომდე კიდევ შეაკეთებს 6 ელექტრომავალს; რაციონალიზატორულ ღონისძიებათა სრული გატარებით თვითღირებულებას შეამცირებენ 20 პროცენტით და სხვ.

ამხ. **მათე ყიფიანმა** თავისი საზეინკლო ბრიგადა 14 კაცის შემადგენლობით გამოაცხადა საბჭოების მე-7 ყრილობის მოწვევის სახელობის დამკვრელ ბრიგადად და ვალდებულება, იკისრა, რომ საამქროს 78 დაზგას ყოველმხრივ გაუწევენ სამსახურს და ხელს შეუწყობენ, რათა არცერთი წუთით არ შეჩერდეს დაზგები დაზიანების, შეუკეთებლობის გამო და ა. შ.

სიტყვით გამოვიდა ლენრაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ილია ნოზაძე**, რომელმაც განსაკუთრებით ილაპარაკა ლენრაიონის კეთილმოწყობაზე და მის მომავალ ამოცანებზე.

დასასრულ, კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი ვალდებულება: ქარხანა წლიურ გეგმას შეასრულებს 25 დეკემბრისათვის. დანარჩენ დღეებში გეგმის ზევით შეაკეთებენ სამ ორთქლმავალს—არცერთი ორთქლმავლის წვრილმანის მეორეთ შეკეთება. ქარხნის მთელი კოლექტივი იბრძოლებს ტექცოდნის ათვისებისათვის. სტალინელებმა იკისრეს აგრეთვე ქარხნის ტერიტორიის გამწვანება. გარდა ამისა ქარხნის თვითეული მუშა-მოსამსახურე ორ-ორ ძირ ხეს დარგავს თავის ეზოში. გადამჭრელ ზომებს მიიღებენ მუშათა მომარაგებისა და კულტურულ ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად.

საბჭოების მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მოსამზადებელი მუშაობა უკვე მიმდინარეობს ცალ-ცალკე საამქროებშიაც. თვითეული დამკვრელი იღებს კონკრეტულ ვალდებულებებს სოცშეჯიბრების საფუძველზე, რათა ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხანა, როგორც ყოველთვის, გამარჯვების პატაკით წარსდგეს საბჭოების მე-7 ყრილობის წინაშე.

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის სამათასიანი კოლექტივი მოუწოდებს მთელი ამიერ-კავკასიის რკინიგზის წარმოება-დაწესებულებებს, რომ საბჭოების მე-7 ყრილობას შეხვდენ გეგმების რიცხობრივხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით.

დ. ჯღარკავა.

დაწინაურებული ტექნიკუმი

ცა რისხვით დაატყდა დედამიწას, კოკისპირულად წვიმს, ელვის მრუდი და ტეხილი ხაზები ტყვიისფერ ღრუბლებში წამით ართდებიან, და შემდეგ ქუხილი აზანზარებს მთასა და ბარს. მაგრამ მალე ნიავმა დაჰქროლა, ღრუბლები გადაიფანტა. ჭექაქუხილი შეწყდა, გადაიღარა.

— იქნებ ხანგრძლივი არ აღმოჩნდეს ეს გამოდარება, ამიტომ ახლავე დავათვალიეროთ თქვენი მეურნეობა! მივმართე მათ. დამეთანხმენ, წავედით.

ხ. ცომაია.

8 ჰექტარი ნოყიერი, შავი მიწა ამწვანებული სხვადასხვა კულტურით. საამო სანახავია, ნაწვიმარზე წვიმის წვეთები ფოთლებს აქა იქ შეჰრჩენიათ და მზის სხივებზე ვერცხლის მძივებად ელვარებენ. ერთ ჰექტარზე მსხვილი ტაროებით დატვირთული სიმინდის გრძელ ფოთლებს ნიავი არხევს და ერთმანეთში ხლართავს.

— ზაფხულის ბოსტნეული უკვე ავიღეთ, ღარიბ მოწაფეებს უფასოდ დავურიგეთ, ზოგს მტკიცე ფასებში მივეცით. რაც გადაგვრჩა, გავყიდეთ. მინერალურ სასუქით ცდები დაწყებულია 1933 წლიდან სიმინდის კულტურის ქვეშ, მოსავლის გადიდება მივიღეთ 130 პროცენტით. — გვიამბობს აგრონომი კ. შენგელია.

აბაშის რაიონი ნაწილობრივ მოქცეულია სუბტროპიკულ კულტურის ზონაში, ამიტომ ტექნიკუმს მოუწყვია მანდარინის სანერგე, მის გვერდით გაშენებულია რამის კულტურა, რომელიც ძლიერ კარგად ხეირობს.

იქვეა საკოლექციო ნაკვეთი, რომელზედაც ზოგი კულტურა უკვე დამწიფებულა, ზოგი კი ჯერ კიდევ მწვანით გადაქორჩილია.

მეურნეობა დავათვალიერეთ, კმაყოფილი ვრჩებით ნანახით, რადგან ყოველ ნაკვეთს, ყოველმცენარეს ამჩნევია მომვლელის მზრუნველი ხელი.

შუაგულ ეზოში გრანდიოზულ ორსართულიან შენობას აშენებენ.

—ჩვენი ახალი შენობა მზად იქნება დეკემბრისთვის. მიწსახკომის კადრების განყოფილება დიდ დახმარებას გვიწევს. დღემდე მან უკვე გაიღო 136 ათასი მანეთი, გვაქვს დაპირება 70 ათასისა ამ მოკლე ხანში. რაიაღმასკომს ამ შენობაზე დახარჯული აქვს 42 ათასი და გვპირდება ბოლომდე არ მოგვაკლოს თავისი მზრუნველობა. — ამბობს დირექტორი ხ. ცომაია.

— თქვენი ტექნიკუმი მოწინავეთა რიგებშია, მე-17 პარტყრილობის სახელობის წითელ დაფაზეა შეტანილი, საინტერესოა მუშაობის მეთოდი, რომლითაც თქვენი სკოლა ხელმძღვანელობს! ვეუბნები ტექნიკუმის დირექტორს.

ჩვენი სკოლის მუშაობა გაინტერესებთ?! თვითონვე ნახეთ და შეამოწმეთ! მიპასუხა მან.

დავიწყეთ ცნობების, მასალების, ოქმების კითხვა და... მოკლედ მოგახსენებთ:

ტექნიკუმში ჩამოყალიბებულია მეთოდბიურო და სამი საგნობრივი სექცია: საზოგადოებრივ - პოლიტიკური ციკლის საგნების, პოლიტექნიკური ციკლის და სპეც. აგრონომიული საგნების. მეთოდ ბიურო. მართავდა ყოველთვიურად (სექციები კი ყოველ 15 დღეში) სხდომებს, სადაც ამათუ იმ მასწავლებლების მიერ კეთდებოდა მოხსენება საგნის სწავლების ხერხზე, წერითი ვარჯიშობის წარმოების წესზე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მსვლელობაზე, სესიების ფორმასა, შინაარსა და ტექნიკაზე.

გასამუშავებელ მასალის ხასიათთან შეფარდებით გამოყენებულია ის აქტიური მეთოდები, რომლებიც გათვალისწინებულია 1932 წლის 25 აგვისტოს და 19 სექტემბრის დადგენილებით.

მოწაფეთა ჩამორჩენასთან ბრძოლის მიზნით მასწავლებლებს მიცემული აქვთ 156 დამატებითი უფასო გაკვეთილი, მაგრამ ისინი ამით არ დაკმაყოფილებულან. თვითეულის ჩამორჩენის მიზეზი შეუსწავლიათ და ამის მიხედვით სათანადო ღონისძიებაც დაუსახავთ. ვინც ბინის სიშორეს ასახელებდა ჩამორჩენის მიზეზად მისთვის ბინა სკოლის ახლოს უქირავებიათ, ვინც ეკონომიურ სიდუხჭირეს, მათთვის გაუციათ 90 ფუთი სიმინდი (20 მსმენელზე) და სახელმძღვანელოები უფასოდ.

თუ კაბინეტების დათვალიერებას შეუდგებით, იქიდანაც კმაყოფილი გამოხვალთ, რადგან ტექნიკუმს აქვს ფიზიკური და ქიმიური კაბინეტები ყველა ძირითადი ხელსაწყოებით და მიკროსკოპებით. აქვთ ბიბლიოთეკა 3 ათასზე მეტი წიგნით. წელს დამატებით შევიძინეთ 3 ათასი მანეთის ხელსაწყოები! ამბობს ფიზიკის მასწავლებელი მ. ჟვანია.

იქაურობას ამშვენებს მრავალფეროვანი, მდიდარი, ლამაზად მოწყობილი აგრონომიული კუთხე. აქ თავი მოუყრიათ თითქმის ყველა მცენარისათვის, რომელიც დასავლეთ საქართველოში ხარობს.

არის რაიონის ნიადაგის მონოლიტები, სასუქებზე ჩატარებული ცდების შედეგები ცხრილებსა და დიაგრამებში და მინდვრის კულტურათა საუკეთესო ჰერბარიუმი.

ალ. ჩოჩია.

რომ თეორია დაუკავშირონ პრაქტიკას, საგანი შეასწავლონ თვალსაჩინოდ, ტექნიკუმს აქვს სათანადო სამეურნეო იარაღები. იქვეა სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომლის სხვადასხვა ცეხებში ტექნიკუმი ატარებს თავის მოწაფეებს და სარგებლობს მათი იარაღ-მანქანების პარკით.

სკოლა და საზოგადოება

სკოლა კულტურის ჩირაღდანია. მოსახლეობა ფხიზლად ადევნებს თვალს სკოლის მუშაობას, და თუ საჭირო რამ ნახა მის მუშაობაში, თითონაც ბაძავს. დღეს სოფლის მეურნეობის აყვავების პერიოდში უდიდესი როლი ეკისრებათ სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმებს არა მარტო იმით, რომ კვალიფიციური კადრი მოუმზადონ სოფლის მეურნეობას, არამედ იმითაც, რომ სკოლის მუშაობა, მეურნეობა, სანიმუშო იყოს გლეხობისათვის.

აბაშის ტექნიკუმი ამ მხრივაც თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას. აგრონომ მასწავლებლების (ა. კაჭარავა, კ. შენგელია, კ. ხარებავა) ენერგიული მუშაობით და ხელმძღვანელობით ტექნიკუმის მეურნეობა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რამდენად მეტი მოსავლის მიღება შეიძლება ამ გულუხვი დედამიწიდან, როდესაც მას კულტურულად მოეპყრობით.

ტექნიკუმი არ დაკმაყოფილებულა თავისი მეურნეობის კარგად მოწყობით. მან მუშაობა გადაიტანა მასაში. კოლმეურნეობებში ჩამოაყალიბეს აგროწრეები და სამი თვის განმავლობაში ტექნიკუმის აგრონომები უფასოდ მუშაობდენ აგრომინიმუმის მასაში გასავრცელებლად. ტექნიკუმი რაიონის ყველა კოლმეურნეობას უწევს დახმარებას, ხელმძღვანელობას, აქვს მათთან ცოცხალი კავშირი.

შემოდგომასა და გაზაფხულზე უხდებათ მოწაფეთა საწარმოო პრაქტიკის ჩატარება, რაც ემთხვევა სასოფლო სამეურნეო კამპანიებს (გაზაფხულის თესვის კამპანია და შემოდგომაზე მოსავლის აღება), რომლის დროს პრაქტიკაზე მყოფ მსმენელთა მუშაობა ყოველდღიურად მოწმდებოდა მასწავლებლების მიერ.

ტექნიკუმს შეფობის ქვეშ აყვანილი აქვს ორი კოლმეურნეობა (ლ. ქართველიშვილის სახელობის და პატარა კვათანის), რომელთაც სკოლა უწევს კულტმომსახურეობას — აგრომინიმუმის გატარებით, მოხსენებები, დღესასწაულის ჩატარებით და სხვა. რაიონში მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე ყოველწლიურად სწყობა, რომლის მიზანი აგროპროპაგანდაა. ტექნიკუმი გამოდის ამ დღეს ფართო მასაში თავისი საკოლექციო ნაკვეთის ექსპონატებით, რომ დაუმტკიცოს ყველას, თვალსაჩინოდ, რამდენად უკეთესს მოსავალს გვაძლევს კულტურულად დამუშავებული ნიადაგი.

ტექნიკუმი უზრუნველყოფილია ყველა საგნებში სპეციალობის მიხედვით მაღალი განათლების და სათანადო გამოცდილების მქონე მასწავლებლებით.

მასწავლებლებსა და კურსებს შორის გაშლილია სოცშეჯიბრება, ნაკისრვალდებულებათა შემოწმების დროს 22 მსმენელს მიენიჭა დამკვრელის სახელწოდება და სამ მასწავლებელს: **ხ. ცომაიას**—(დირექტორი), მასწავლებლებს: **ა. ჩიჩიას** და **ჰ. ჩიტეიშვილს**. დირექტორი **ხ. ცომაია** და მასწავლებელი **ა. ჩიჩია**, როგორც სანიმუშო დამკვრელი პედ-გოგები საქ. განსახკომის ც.-გ. მიერ შეტანილი იქნენ ს.კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობის სახელობის წითელ დაფაზე.

დირექტორი **ცომაია** საქ. მიწსახკომის კადრების განყოფილების მიერ სამჯერაა დაჯილდოებული **ტექნიკუმში სასწავლო საწარმოო საქმის წარჩინებულად დაყენებისათვის**. მას, როგორც გამოცდილ პედაგოგს ენერგიულ მუშაკს, უაღრესად პატიოსან ადამიანს, იცნობს და აფასებს არა მარტო მოწაფეობა და მასწავლებლობა, არამედ რაიონის მთელი მოსახლეობა.

წლიური მუშაობის შემოწმებისას საქ. მიწსახკომის კადრების განყოფილების მიერ ტექნიკუმის მუშაობა შეფასებულია **საუკეთესოდ**.

მასწავლებელთა სოლიდარული, ენერგიული მუშაობა, საწინდარია იმისა, რომ ტექნიკუმი მომავალში კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მოგვცემს.

მერი ადამია

მუშაობა საკოლექციო ნაკვეთზე აგრონომ კ. შენგელიას ხელმძღვანელობით.

საბოლოოდ მოვსპოთ წ.-კ. უცოდინარობა

საქართველოს განსახკომის, ალკკ-ას ცენ კომიტეტის, პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის, განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკური საშეფო საზოგადოების და საზ. „სოცკულტურა"-ს დადგენილება

წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის ა-წ. 31/V დადგენილების რეალიზაციის მიზნით რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ.

1. საქართველოს წ/კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის ფართოდ გაშლის და 1934-35 წლის გეგმის წარმატებით შესრულების მიზნით გამოცხადდეს რესპუბლიკური კონკურსი ა/წ. 10/X-დან 1935 წ. 15-ივნისამდის.

2. კონკურსის ხელმძღვანელობა დაევალოს:

ა) რესპუბლიკის მასშტაბით — რესპუბლიკურ შტაბს, რომელიც ჩამოყალიბდეს საქ. ალკკ ცენტ. კომიტეტთან შემდეგი შემადგენლობით: **გიორგობიანი** — ალკკ ც.კ. (თავმჯდომარე), **ორაგველიძე** (საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.), თათარიშვილი, გორდელაძე და გაბისონია (მდივანი განსახკომიდან); მეტრეველი — (ალკკ ც.კ. თავმჯდომარის მოადგილე), ნადირაშვილი, გოგოხია (საქ. პროფსაბჭო), მაისურაძე (ტფილისის ალკკ კომიტეტი), ჩილაჩავა (საქ. შეფბიურო), მამალაძე (საზ. „სოცკულტურა"), ენუქიძე (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქცია);

ბ) რაიონებში რაიშტაბს პარტრაიკომის, განათლების განყოფილების ალკკ-ის რაიკომის (თავმჯდომარე) და პროფკავშირთა წარმომადგენლების შემადგენლობით;

გ) სასოფლო საბჭოებში სპეციალურად გამოყოფილ რწმუნებულებს.

3. რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების პირობების და წესის წარმოდგენილი პროექტი დამტკიცდეს (თან ერთვის). კონკურსის უკეთ შესრულებისათვის შემოღებულ იქნას გარდამავალი დროშა, ხოლო მოწინავე რაიონების და ცალკეულ კულტარმიელთა დასაჯილდოვებლად დაარსდეს რესპუბლიკური ფონდი 25.000 მან. რაოდენობით. კონკურსში მონაწილეთათვის ფულადი ჯილდოს გაღება დაევალოს — განსახკომს 13.000 მან. პროფსაბჭოს—5000 მან., გან. მუშ. კავშირს — 2000 მან., საშეფო საზოგადოებას — 3000 მან. და საზ. „სოცკულტურის" — 2000 მან. აღნიშნული თანხა გადაირიცხოს რესპუბლიკური შტაბის განკარგულებაში არა უგვიანეს 1935 წ. 31 იანვრისა.

4. კონკრეტიული ხელმძღვანელობის განხორციელებისა და საჭირო დახმარების ორგანიზაციის მიზნით კონკურსის პერიოდში მიმაგრებულ იქნან ავტ. რესპუბლიკებსა და რაიონებზე შემდეგი ამხანაგები:

ა) განსახკომის ხაზით:

1) ამხ. ერ. გორდელაძე და ვ. დემურია — ადიგენი, ახალციხე; 2) ა. გაბისონია, გაზარია—აჭარისტანი, სამტრედია; 3) შ. გეგნავა და ს. პანაცაძე — ასპინძა; 4) გოგუაძე და ფარაჯევი — წალკა, ლიუქსემბურგი; 5) ისრაელიანი — ახალქალაქი, ბოგდანოვკა; 6) კ. ბერიძე და გაჯილაროვი — ბორჩალო, 7) დ. მელიქაძე — ყარაიაზი; 8) ცოტაძე—ლაგოდეხი, 9) ა. მაზაბელი — ქვემო-სვანეთი, ზემო-სვანეთი 10) ვ. ქიტავა — კასპი, ჩხარი 11) ხუნდაძე — ყვარელი;

ბ) პროფსაბჭოს ხაზით: 12) დ. გოგოხია—სამხრეთ ოსეთი, 13) ს. კაჭარავა—დუშეთი; 14) კეჟერაძე და კუჭუხიძე — ტყიბული და სტალინირი; 15) ჩაჩავა—ჭიათურა და ზესტაფონი;

გ) განკავშირის ხაზით. 16) ა. თოდრია—აფხაზეთი, 17) ურუშაძე — წალენჯიხა და ჩხოროწყუ, 18) ფრანგულაშვილი — თიანეთი.

დ) საშეფო საზოგადოების ხაზით. 19) მეიფარიანი — სიღნაღი და თელავი; 20) ვ. ლომინაძე — ბაღდათი, 21) ვ. პილაძე—ალბულაღ-მანგლისი, 22) კ. მაკინაძიანი — ბაშკიჩეთი.

ე) საზ. „სოცკულტურა"-ს ხაზით. 23) დ. გორდელაძე — ხობი, 24) ჭელიძე—მარტვილი, 25) მამალაძე—ვანი.

ვ) კომკავშირის ხაზით. 26) გიორგობიანი და მეტრეველი — ქუთაისი და გურჯაანი, 27) ჭუმბურიძე — გარე-კახეთი; 28) კაკელაძე — ცაგერი.

5. კონკურსის მიზნების და ამოცანების ფართოდ გაშუქებისა და მშრომელთა ფართო მასების წ/კ. უცოდინარობის საბრძოლო ამოცანების ირგვლივ მობილიზაციის მიზნით: ა) გამოიცეს გაზ. „კომუნისტური განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტის" და „მუშას" სპეციალური ნომრები; ბ) ეთხოვოს გაზეთ „კომუნისტს" „ზარია ვოსტოკას", „ენიკენდის", „პროლეტარის" სისტემატიურად გააშუქოს პრესაში წ/კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობა; გ) დაევალოს რაიონულ შტაბებს ამავე მიზნით ფართოდ გამოიყენონ რაიონული პრესა, საჭიროების შემთხვევაში გამოსცენ ადგილობრივი გაზეთის სპეციალური ნომრები; დ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ძირეული პრესის (კედლის გაზეთების, მრავალტირაჟიან გაზეთის და სხვა) გამოყენებას საწარმოებში, სამ.-სატრაქტორო სადგურებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში, როგორც რესპუბლიკურ, ასევე ადგილობრივ პრესაში სისტემატიურად გამოქვეყნდეს თვიური ცნობები კონკურსის მსვლელობის შესახებ.

6. მიღწეულ შედეგების განმტკიცება—შეჯამებისა და მუშაობის შემდგომი გარდაქმნის მიზნით მოწვეულ იქნას 1935 წლის 10 იანვარს რაიშტაბის ხელმძღვანელთა და დამკვრელ კულტარმიელთა რესპუბლიკური შეკრება, რომელზედაც მოსმენილ იქნას რესპუბლიკური შტაბის მოხსენება რაიშტაბის (შერჩევით) თანამოხსენება კონკურსის მსვლელობისა და ჩატარებული მუშაობის შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე დაისახოს 1934-35 სასწ. წლის დამლევისათვის წ/კ. უცოდინარობის საბოლოო ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი.

საქ. განსახკომის მოადგილე — **გორდელაძე.**
ალკკ ც. კ-ის მდივანი — **გიორგობიანი.**
საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე — **სტურუა.**
განკავშირის პ/მგ. მდივანი — **ქიქიბური.**
შეფბიუროს თავმჯდომარის მაგიერ — **მეიფარიანი.**
საზ. „სოცკულტურის" მდივანი — **მამალაძე.**

რესპუბლიკური კონკურსის მიზანი და ამოცანები

კონკურსის ძირითადი მიზნებია: 1) ა/კ. სამხარეო კომიტეტის 31/V-ს დადგენილების საფუძველზე წ-კ. უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და მცირე მცოდნეობის სკოლების ქსელის გაშლა დამტკიცებული გეგმის თანახმად. 2) წ-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობაში წარმოება - დაწესებულებების და საერთოდ ფართო მასების ჩაბმა და მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა, 3) წ.-კ. უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში საპროგრამო-მეთოდიურ მუშაობის შემდგომი გარდაქმნა და სწავლების მაღალხარისხიანობის განმტკიცება და 4) აღნიშნული სკოლების მატერიალური ხაზის განმტკიცება (როგორც საბიუჯეტო, აგრეთვე ბიუჯეტს გარეშე სახსრების მობილიზაცია და მათი დროულად და რაციონალურად გამოყენება).

I. კონკურსში მონაწილეობის წესი და პირობები

1) კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ს.ს.ს.რ. შემავალ ყველა ავტონომიურ რესპუბლიკას და რაიონს, რომლებიც მიზნად დაისახავენ ა-კ. სამხარეო კომიტეტის ამა წლის 31/V-ს დადგენილების რეალიზაციას და თავის რაიონისათვის შემუშავებენ კონკრეტულ ვალდებულებებს რესპუბლიკურ შტაბის მიერ გამოქვეყნებული მაჩვენებლების საფუძველზე. კონკურსში ჩაბმის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1/XI, 2) ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები კონკურსში მონაწილეობის მიზნით მიღებულ ვალდებულებებს (სათანადოდ გაფორმებულს) უგზავნიან რესპუბლიკურ შტაბს. წარმოდგენილ ვალდებულებათა განხილვა-დამტკიცების შემდეგ რაიონი (რესპუბლიკა) ითვლება კონკურსში მონაწილედ და მას შტაბის მიერ ეგზავნება გარკვეული ნომერი, რომლის აღნიშვნაც სავალდებულოა რაიონის მიერ წარმოდგენილ ყველა საანგარიშო მოხსენებებში. 3) კონკურსის მსვლელობას ხელმძღვანელობს: რესპუბლიკის მასშტაბით — რესპუბლიკური შტაბი, რაიონში — რაიონის შტაბი სასოფლო საბჭოში — ცალკე რწმუნებულები, რომელთა განკარგულებებიც სავალდებულოა სამოქმედო რაიონის ფარგლებში კონკურსში მონაწილე ყველა ორგანიზაცია დაწესებულებისა, წარმოებისა და (ცალკე პირისთვის), 4) რაიონის მიერ მიღებულ და რესპუბლიკურ შტაბის მიერ დამტკიცებულ ვალდებულებათა საფუძველზე რაიონში მოქმედ ყველა ორგანიზაცია - დაწესებულებას, წარმოებას, სკოლას, პოლიტ - განდაწესებულებას და ცალკე კულტარმიელს უფლება აქვს ჩაებას კონკურსში, მიიღოს გარკვეული ვალდებულება და გადაუგზავნოს ის რაიონულ შტაბს დასამტკიცებლად, რომლის დასტურის შემდეგაც ის ჩაითვლება კონკურსში მონაწილედ. 5) მიღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება ტარდება თვით შემოწმების საფუძველზე ყოველ ორ კვირაში ერთხელ. თითო შემოწმების შედეგი ეგზავნება რაიონულ შტაბს, რაიონის შტაბი კი—შეჯამებულ ცნობებს ყოველთვიურად უგზავნის რესპუბლიკურ შტაბს. თვით შემოწმების ყოველთვიური, ორკვირეული ცნობები სისტემატიურად ქვეყნდება რესპუბლიკურ და რაიონულ (რაიონის მასშტაბით) პრესაში. ცნობების წარმოდგენა წარმოებს რესპუბლიკური შტაბის მიერ დამტკიცებულ ფორმების მიხედვით. მიღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით ფართოდ უნდა გაიშალოს სოცშეჯიბრება, როგორც ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის, აგრეთვე ცალკე წარმოება-დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა, სკოლებსა, პოლიტ-განმანათლებელ დაწესებულებებსა, სასოფლო საბჭოებსა და კულტარმიელთა შორის. სოციალისტური შრომის ყველა მეთოდის ფართოდ გამოყენებით რაიონმა უნდა შესძლოს მშრომელთა ინიციატივის გამომჟღავნება, მისი ხელმძღვანელობა და დასახულ ამოცანებისათვის გამოყენება. 6) რაიონი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში არ წარმოადგენს საინფორმაციო ცნობებს და წარმოადგენს ზოგად (არა კონკრეტიულს) და არა სწორ ინფორმაციას, გამოირიცხება კონკურსში მონაწილეობიდან პრესაში გამოცხადებით.

II. კონკურსის მაჩვენებლები

1. რაიონის მიერ სოფლსაბჭოების მიხედვით წ.-კ. უცოდინარობის ზუსტი აღრიცხვა.

2. აღრიცხვის შედეგებისა და სოფლსაბჭოების მიხედვით საჭირო რაოდენობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნა.

3. რაიონში ყველა წ.-კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმა და სასწავლო წლის განმავლობაში წ.-კ. უცოდინარობის მთლიანი ლიკვიდაცია.

4. მცირემცოდნეობის სკოლების ქსელის გაშლა და მსმენელთა ჩაბმა რაიონისათვის დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

5. — სკოლებისათვის გამოცდილი და ავტორიტეტიანი მასწავლებლების შერჩევა-დანიშვნა.

6. — სალიკვიდაციო სკოლების ბინით, გათბობა - განათებით, სახელმძღვანელოთ და სასწ. ნივთებით დროულად უზრუნველყოფა.

7. — განსახკომის სასწავლო გეგმების მიხედვით და მსმენელთა სამუშაო დროსთან შეფარდებით სკოლებისათვის მტკიცე ცხრილის დამუშავება და მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების უზრუნველყოფა (ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებით და ჯიუტთა წინააღმდეგ მთავრობის სათანადო დადგენილების გამოყენებით. განსახკომის გეგმის საფუძველზე სამეცადინო დღეების წინასწარ გამოყოფა, მოსწავლეთა დამატებით სამუშაოდან განტვირთვა და წრეებზე და კრებებზე დასწრების შეფარდება სასკოლო მუშაობასთან).

8. — 1913 წ. დაბადებულ წვევამდელთა შორის წ.-კ. უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დამთავრება 15/II-35 წლისათვის.

9. — სალიკვიდაციო სკოლებში მუშაობის მიმდინარეობაზე რაიაღმასკომის, საქალაქო და სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმზე თვეში ერთხელ ინფორმაციის მოსმენა და შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად კონკრეტული ღონისძიებების დასახვა.

10. — თვეში ერთხელ სოფლსაბჭოების ფარგლებში სალიკვიდაციო სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა თათბირის მოწვევა თვითეულის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენისა და ურთიერთშორის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

11. — 15 დღეში ერთხელ სალიკვიდაციო სკოლების მუშაობის ადგილებზე შემოწმება და ორგანიზაციულ - მეთოდური დახმარების აღმოჩენა.

12. — ორგანიზაციულ მუშაობაში დახმარების აღმოჩენის და სალიკვიდაციო მუშაობის დაფინანსებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიულ და სამეურნეო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების დადება და მშრომელთა ფართო მასებში ახსნა-განმარტებისათვის მუშაობის გაშლა სრულ ნებაყოფლობითი საფუძველზე ადგილობრივი სახსრების მობილიზაციის და წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში, კულტარმიელთა ჩაბმის უზრუნველყოფად (ნებაყოფლობითი გამოსაღება, სალამო-წარმოდგენების მოწყობა, საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობის მონაწილეობა, წარმოებების შეფობა და სხვა).

13. — სალიკვიდაციო მუშაობის ყოველგვარი შეუფასებლობის გამომჟღავნება და აღმოფხვრა რაიონის სათანადო ორგანოებში საკითხის დაყენებით.

14. — სკოლებსა და მასწავლებელთა შორის სოც. შეჯიბრის გაშლისა და კონკრეტული მუხლების დამუშავებით (სკოლის სისტემატიური მუშაობა ცხრილის მიხედვით, მუშაობის სისტემატიური ანგარიშის წარმოება და სათანადო ორგანიზაციისათვის საჭირო ცნობების მიწოდება, მსმენელთა დაინტერესება მუშაობის წიგნის და გაზეთების კითხვით, მათთვის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დამუშავება, განსახკომის მიერ მოცემული გეგმით 4 საათიანი დღიური მუშაობით — თვეში 20 ჯერ — პროგრამის სათანადო დაძლევა და სხვა) სკოლის მუშაობის მაღალხარისხიანობის უზრუნველყოფა.

15. — სალიკვიდაციო სკოლებში სამუშაოდ ჩაბმულ ფასიან მასწავლებელთა ხელფასით და მომარაგებით თავის დროზე უზრუნველყოფა.

16. — სოფლსაბჭოს მიხედვით ერთი გამოცდილი მასწავლებლის [illegible] გამოყოფა და სალიკვიდაციო მუშაობის ყოველდღიური კონტროლის უზრუნველყოფა.

17. — ადგილობრივ და ძირეულ პრესაში წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის სისტემატიური გაშუქება.

18. — თვეში ერთხელ (თვის 15 რიცხვში) შეჯიბრების რესპუბლიკური შტაბისათვის წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის მიმდინარეობაზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება.

4. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესდეს შემდეგი სახის ჯილდო:

ა) რესპუბლიკის გარდამავალი დროშა.

ბ) ფულადი ჯილდო:

პირველი კატეგორიის—2 ჯილდო თითო 3.000 მან.

მეორე კატეგორიის — 5 ჯილდო თითო 1.000 მან.

მესამე კატეგორიის—10 ჯილდო თითო 500 მან.

გ) პატეფონი (ფირფიტებით)—2 ჯილდო.

დ) ბიბლიოთეკა 500 მან. ღირებულების — ორი ჯილდო.

ე) საპატიო სიგელი.

რესპუბლიკური გაზეთების დასაჯილდოვებლად კონკურსის მომსახურეობისათვის;

1 ჯილდო — 2.000 მან.

2 ჯილდო თითო 1.000 მან.

2. მიღებულ შედეგების მიხედვით დაჯილდოვებას აწარმოებს. რესპუბლიკის მასშტაბით რესპუბლიკური შტაბი, რაიონში — რაიონული. დაჯილდოვდებიან, როგორც წარმოება-დაწესებულებები მთლიანად, აგრეთვე ცალკე მუშაკები და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

მთებმა დუმილი დაარღვიეს

ლამაზია ლეჩხუმის მწვანით დაფარული მთები, ზამთრობით, რძისავით თეთრ ცაში თოვლით დაფენილი მთებია შეჭრილი, მის ფეხთით კი რიონი და ლაჯანური გაყინულ მკერდის ქვეშ ჩუმად მიდუდუნებენ. მე მინახავს ამ მთებში ჩაწოლილი ღამე, შავი და მძიმე, როდესაც ცა და მიწა ნისლითა და ბურუსით ყოფილა შეერთებული. განმიცდია ის მოსაწყენი ცხოვრებაც, რომელიც ამ კუთხეში ყოფილა წარსულში:—ღარიბი მეურნეობა, ზურგმოხრილი და მუხლმოკვეთილი შრომა.

და კიდევ: ურმების ჭრიჭინი, რომლებიც თავის პატარა თვლებით ერთ სოფელს მეორე სოფელთან აერთებდა. გადაჰქონდათ და გადმოჰქონდათ ერთმანეთში სიმინდი, ღომი, ლობიო, ქათმებიც, ღვინოც, მაგრამ ლეჩხუმის ცხოვრების ეს წარსული ღარიბი ერთფეროვნებით იყო სავსე. საჭირო იყო ამ მთათა ცხოვრების გარდაქმნა, ამ უსიტყვოდ მდგომარე მთათა სიჩუმის დარღვევა, მათი გულის გადახსნა, მათი სიღრმის გაგება, რაც უსათუოდ დიდ გავლენას მოახდენდა ლეჩხუმის ეკონომიკაზე.

ათი წლის წინად, როდესაც გავეცნობოდი ხვამლის მთას, მეუბნებოდენ:

— ძლიერ მაღალი მთა არის, იმდენად მაღალი, რომ მშვიდსა და წყნარს ამინდში მის მწვერვალიდან მშვენივრად მოჩანს შავი ზღვის ლურჯი ზედაპირი.

დღეს კი, ასეთ პასუხს აღარავინ არ იძლევა. ახლა მეუბნებიან:

—ხვამლზე გეგმების შესრულებისთვის იბრძვიან, ხვამლს გულს უთხრიან, მისი მკერდიდან კრისტალივით თეთრი ბარიტი გამოაქვთ

ლეჩხუმის მთები ადამიანის მარჯვენას ელოდენ. ადამიანი მივიდა მათთან, მათი მოლოდინი შეწყდა და დუმილი დაარღვიეს.

*

რიონის ხეობას განთიადიდანვე მხოლოდ თვით მდინარის ხმაური კი არ არღვევს, არამედ ავტომობილის გუგუნი და არიან. მისივე ბორბლების სრბოლა. ეს ავტომობილი დაკავშირებულია ამ მთებთან. როდესაც ქაბუკნარის მთაზე გაყვანილი ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა ლოკნარის მთის გულიდან გამოღებულ ბარიტს ვაგონეტკებით და საჰაერო გზით წიფლნარის ღელესკენ ეზიდება, აქ უკვე ავტომობილი განაგრძობს გზას. მაგრამ ამ მთებს მხოლოდ ეს კი არ აღვიძებს! რიჟრაჟიდანვე იწყებს მუშაობას ბარიტის გამრეცხი, გამამდიდრებელი ქარხანა, რომელიც ბინდამდე შეუჩერებელ კონვეიერით აკრისტალებს რუხს მოწინავე მადანს.

ასე იწყება დღიური ცხოვრება მთებზე და მთებს შორის, მაგრამ მთათა შიგნით კი დღითა და ღამით წერაქვისა და ნიჩბის ხმა, ხვრევა და გუგუნია.

ვიდრე გვირაბში შევიდოდე, ვფიქრობ ბარიტის სიძვირფასეზე. რა დიდ ღირებულებას და საჭიროებას წარმოადგენს ბარიტი მშენებელი ქვეყნისთვის.

წარმოიდგინეთ ასეთი რამ:

მუშაობისაგან დაღლილი მშრომელი გასართობად მიმართავს პატეფონს და შავი თხელი ფირფიტა უკრავს რაიმე მხიარულ ჯაზს. მისი ბგერები მოქმედებენ ადამიანზე და ასვენებენ. ეს ბგერები ჩაწერილია ამ ფირფიტაზე, ეს ფირფიტა კი ბარიტისაგან არის გაკეთებული. დახედე ქაღალდს, რომელზედაც ეს სტრიქონებია დაბეჭდილი, ის სუფთა და თეთრია ბარიტის შემწეობით. თუგინდ მედიცინა აიღეთ. რენტგენის სხივები ისე არ მოქმედობენ, თუ ბარიტით არ იქნა შელესილი კაბინეტის კედლები. ბარიტი ძლიერ ბევრ რამეში იხმარება. მინდვრის მავნებლებსაც კი ბარიტით ებრძვიან. ნავთის დასაწმენდად და გასაკრიალებლადაც კი ბარიტს ხმარობენ. რომ საუკეთესო საღებავი მიიღონ, რომელიც გაუძლებს ქარს, წვიმას, დიდ სიცხეს და დიდ ყინვას — ბარიტს ხმარობენ ამიტომაა, რომ ზღვაში მცურავი გემები, ჰაერში მონავარდე თვითმფრინავები და ხმელეთზე მოგუგუნე მატარებლები, ავტომობილები, ტანკები მრავალი წლობით გაუცვეთავი ფერისანი

ადამიანები მთების გულში.

რამდენათ ლამაზი და წარმტაცია მთა გარედან, იმდენად პირქუში და წარბშეხრილია შიგნით. კლდოვანი ფენები აქა-იქ წვეტიანი ლოდებით ჩამოშვერილა, რომლებსაც ეტყობა ახლად დარტყმული ლომის ნაკვალავ და საიდანაც განუწყვეტლივ მოჟონავს წყალი. რამდენადაც ღრმად შედიხარ, იმდენად ხშირდება ამ უსწორმასწორო კედლებიდან წყლის წვეთების ცვენა და ნიადაგიც სველდება. თვითეული წვეთი ისეთი ხმით ეცემა ამ გამოგულვილ გვირაბში, თითქოს წყლის წვეთი კი არა ტყვია იყოს. რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ მოისმის გუგუნი. ლიანდაგს ვათავისუფლებ და ჩემს წინ აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვება მემუხრუჭე ერთი ტონა ბარიტით სავსე ვაგონეტკას. გავიარე კიდევ ათეული მეტრი და უკვე გამოჩნდა მუშების ჯგუფი ანთებული სანათურებით.

— აი, ეს ესტატე მანაგაძეა, თვალებითა მკერდით თხრის ბარიტს,—მეუბნება ახალგაზრდა ინჟინერი სერგო ღვინერია და მაცნობს საუკეთესო ოსტატს.

ესტატე მანაგაძე წუთით იხედება ჩემსკენ. თვალები გაუბრწყინდა. სახე ღიმილმა დაუფარა და მარცხენა ხელი შუბლზე და თმებზე გადისვა. მე ისე ვიგრძენი, თითქოს ესტატე მანაგაძე მართლაც მკერდით და თვალებით უნდა ყოფილიყო მიმდგარი ბარიტის ძარღს. როგორც ხმალდახმალ ბრძოლის დროს იციან, ისე მტკიცედ იდგა პრეფარატორით ხელში და ბურღავდა. მისი ბრიგადა დღეში 40 ვაგონ ბარიტს იძლევა. რაც არ უნდა ცუდი ძარღვი შეხვდეს, ის მაინც შეასრულებს გეგმას.

აი, ახლა, ყველასათვის მოულოდნელად შეჩერდა, პრეფარატორი ძირს დასდო და ბარიტის წამლებ მუშას დაავალა გარეთ კომპრესორის მუშაობა შეეჩერებინა.

— ლაღუმია საჭირო. — წარმოსთქვა მანაგაძემ და ფიალებს ამორჩევა დაუწყო.

— შეხედეთ, — მეუბნება ინჟინერი ღვინერია, — ბარიტის ძარღვი შესწყდა. ამ კედაროს რომ შეხედო, გაიფიქრებ ბარიტი მოთავდაო, მაგრამ გამოცდილმა ოსტატმა ყველაფერი კარგად იცის, — და გადახედა მანაგაძეს, — ნახევარ მეტრზე რომ აფეთქებით ჩამოანგრიოს, ბარიტის ძარღვი ისევ გამოჩნდება.

8 წელიწადია მანაგაძე ბარიტის სამუშაოებზეა და ამ ხნის განმავლობაში არა მარტო თავისი თავი აღზარდა, არამედ ბევრი სხვაც. რამდენი მნგრეველი, მბურღავი და გვირაბის გამმაგრებელი აღზარდა მან. ესტატემ თავისი გვირაბის ყოველი კუთხე და ადგილი კარგად იცის. ის უვლის ხოლმე თავის გვირაბს, ხშირად ღარებს უსწორებს, რომ წყალმა გარედ იდინოს, თავს დასტრიალებს ბარიტის ჭას, რომ წყლით არ აევსოს, უვლის და პატრონობს ლიანდაგს, ვაგონეტკებს, სამუშაო იარაღებს; და მასთან ერთად—მთელი მისი ბრიგადა ზრუნავს.

გადავდივართ სხვა გვირაბებისაკენ.

მესამე გვირაბი შავბნელი გულით გამოიცქირება. ჩვენი სანათურები ძლივს ანათებენ მის ღრმა და ბნელ არეს.

გადამეტებულად გრილი, თითქმის ცივი ნიავი მოქრის გვირაბის შიგნიდან. გარედ კი მხურვალე მზე და ცხელი, გავარვარებული ჰაერი დავტოვე. შესდგამ თუ არა ნაბიჯს გვირაბში, მაშინვე იცვლება სიცხე-სიცივედ—ეს ზაფხულში, ზამთარში შებრუნებულად ხდება, გვირაბში თბილა.

ოთხმოციოდე მეტრის გავლის შემდეგ, ადამიანების ლაპარაკი მოისმა. ისმის აგრეთვე ჭრიალი, ხან ნიჩბების მოძრაობის ხმა, ხან კიდევ ლომის დარტყმა. ერთ ადგილას სამი მუშა იდგა. ერთი რკინის სახელურით ფართე ბორბალს ატრიალებდა, ბორბალზე ეხვეოდა თოკი. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა კასრი ბარიტით სავსე. ბარიტი ვაგონეტკაში ჩაყარეს.

აქ იყო 40 მეტრის სიღრმეზე ამოთხრილი ჭა. ჭის ძირში იდგა მუშა, ბარიტს თხრიდა, ავსებდა კასრს და გზავნიდა მაღლა. ჭის გვერდებზე ჩაკრული კიბით ჩავედით შიგ. მნგრეველი, ზედ ძარღვზე იდგა. ძარღვი მიემართებოდა უფრო ქვევით, ოდნავ დახრილ შვეულად. მისი წერაქვი, როგორც შაქარს, ისე ამტვრევდა ბარიტს მაგრამ მერე ეს თეთრი ბარიტი დაჟანგულ მიწაში ირეოდა და მუქდებოდა, შავდებოდა.

ეს იყო ლევან კენჭაძე, ერთი საუკეთესო მნგრეველთაგანი, რომელმაც არაფრის დარიდება არ იცის. როგორც საუკეთესო მებრძოლი, არცერთ ფრონტს არ უშინდება, სადაც ვინდათ გაგზავნეთ. ყველგან ერთი სიდინჯით და ერთი ნებისყოფით მუშაობს. გინდ გვირაბში, გინდ ჭაში, გინდ გვირაბის ზედა თხრილებში, სადაც კი ბარიტი ეგულება, ყველგან წავა, ოღონდ ბარიტი მოიპოვოს. მას თითქოს მოთხოვნილება აქვს ბარიტის მოპოვების, მის სხეულში ეს გრძნობა დაიბადა და გაიზარდა.

მდუმარედ ვდგევარ. მაღლა ახედვა არ მინდა. ვგრძნობ მთათა თხრილებში ვარ. მილიარდ ტონიანი მთა გვაწევს თავზე. მის რომელიღაც ხვრელში კი ჩამძვრალნი ვჩიჩქნით მას. ლევან კენჭაძე კი იღიმება.

— ხომ არ გეუცხოებათ?—მეკითხება ლევანი, თან ულვაშებზე ხელის გულს გადისვა, თვალებამდე ჩამოწეული ქუდი უკან გადიწია, შუბლიც გამოიჩინა.

— აქ თქვენ მარტო მუშაობთ? მეუცხოება კი არა მეუცნაურება.—ვუპასუხე.

ლევანმა ჩემსკენ ხელი წამოსწია და კედლისკენ მიმწია, ზევიდან კასრი ჩამოვიდა, წამში ბარიტით აავსო და მაღლა ასძახა აეწიათ.

— დიდებულ ადგილას მოვხვდი. რამდენიც გინდათ, იმდენი ბარიტი მაქვს. არც ერთი წუთი არ გამიცდება. ჩემს ქვეშ გვირაბი ითხრება, აი, ამ ძარღვისაკენ მოემართებიან. მეც იმდენი უნდა ვთხარო, ვიდრე მათ არ შევუერთდები. ასე სულ ძირ-ძირს ჩავალ,—უბრალოდ და მხიარულად ლაპარაკობს ლევანი.

ამოველით ჭიდან.

—მერამდენე ვაგონეტკაა? — ეკითხება ღვინერია იქვე მდგომ მუშებს.

— მეორმოცე.—მოწყვეტილად უპასუხებს ერთი მენიჩბეთაგანი. — დღეს ჩვენი ბრიგადა წარმატებაშია.

—აგრე. ცეცხლი გაუჩინეთ მუშაობას, ცეცხლი. კვარტალი თავდება, ას პროცენტს უნდა გადავაჭარბოთ.

— მაგას რა თქმა უნდა, ამხანაგო ღვინერია, გადავაჭარბებთ...

ისევ მზეზე ვარ, მთების მხრებზე.

ეს არის ლოკნარის მთები. ბარიტის ძარღვების სიმსხოსი და ხარისხის მიხედვით, მსოფლიოში პირველი. მარაგის სიმრავლის მხრივ ყველას სჯობნის გერმანიის ბარიტი, რომელიც საქსონიის მთებში მოიპოვება. მაგრამ ამ მთებში, ლოკნარის მთებში, მე რომ ფეხი მიდგას, ისეთი მსხვილ ძარღვიანი ბარიტი მოიპოვება, რომ მეტოქე არა ჰყავს. ძველად რუსეთში გერმანიიდან შემოჰქონდათ ბარიტი, დღეს საკუთარი გვაქვს და პირიქით, ჩვენ სხვა ქვეყნებსაც ვაწოდებთ მას...

ლოკნარის მთებზე ვდგევარ. ამ მწვერვალზე სიცოცხლის ძარღვი სცემს. გაშენებულია საერთო საცხოვრებლები, რომლებშიც სოფლებიდან ჩამოსული მუშები ცხოვრობენ. ლეჩხუმის გარემო სოფლებიდან მოდიან გლეხები სამუშაოებზე და სულ მოკლე ხანში ხელოვნდებიან, საუკეთესო მნგრეველებად, მებიგეებად, მემუხრუჭეებად, იქნენ მაღაროების ოსტატის ცოდნას. და მერე როგორი თავგამეტებით იბრძვიან გეგმებისათვის? მთელ საქართველოს მძიმე მრეწველობაში პირველნი არიან... მათ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შემდეგ სულ ხელში უპყრიათ გამარჯვების გარდამავალი დროშა, რომელიც ტფილისიდან ამ შორეულ მთებზე აიტანეს. ეს დროშა მათ გადასცეს ტფილისის ლითონ - თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის მუშებმა და დღემდე შენარჩუნებული აქვთ. ბარიტზე მომუშავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, დღესაც თავგამოდებით იბრძვიან, რომ მესამე კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულონ და მძიმე მრეწველობის გარდამავალი დროშა, რომელიც ლეჩხუმის მთების მწვერვალებს ამშვენებს, კვლავ აქ ფრიალებდეს.

მესამე კვარტალის პირველი ორი თვე ასეთ სურათს იძლევა: გეგმით ივლისში უნდა ამოეღოთ სამი ათასი ტონა ბარიტი, ამოიღეს სამი ათას ორასი ტონა. უნდა გაერეცხათ 3.500 ტონა, გარეცხეს — 3.550 ტონა. აგვისტოში უნდა ამოეღოთ 3 ათასი ტონა, ამოიღეს—3.400 ტონა. უნდა გაერეცხათ 3.700 ტონა, გარეცხეს — 2.450, უნდა დაეფქვათ 1.000 ტონა, დაფქვეს 1277 ტონა.

ძარღვი

ამ მთებში გვირაბები ითხრება რამდენიმე სართულად. თხრის დროს თვითეული მნგრეველი გულის ფანცქალით ელის ძარღვის გამოჩენას. ხშირად ათეული მეტრის სიღრმეზე ითხრება კლდე, მაგრამ ბარიტი არ ჩანს. მუშაობენ მაშინ მნგრეველები გულჩათხრობილად, მოწყენილად, მაგრამ გამოჩნდება თუ არა კლდეში თეთრი ზოლი, სიხარულის ღელვა ელექტრონივით დაივლის ხოლმე მათ სხეულში და წამოიძახებენ:

— ძარღვი, ძარღვი გამოჩნდა!

მერე სისქეს ზომავენ, ხარისხს სინჯავენ და აარბენინებენ დირექციაში ცნობას ახალი ძარღვის აღმოჩენაზე.

მესაუბრება ბარიტის სამუშაოთა მთავარი ინჟინერი ჯაფარიძე. იგი მიამბობს ერთი შემთხვევის შესახებ ბარიტის ისტორიიდან: გეოლოგიური კვლევის დროს, მიაგნეს ერთ ძარღვს. მისი სისქე ერთი მეტრი იყო. გამოიანგარიშეს ამ მთაში მდებარე ბარიტის რაოდენობა, რაც დიდ მარაგს ხატავდა და შეუდგენ თხრას. ათიოდე მეტრის გათხრის შემდეგ, წააწყდენ, ცარიელ გვირაბს, საიდანაც ბარიტი უკვე ამოღებული იყო. ამ გვირაბს მისავალი ვერ უპოვეს. იქვე ეგდო ადამიანის ჩონჩხი და ქვის ჩაქუჩები. ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებლებს, განსაკუთრებით მოხუცებს შეეკითხენ,—ახსოვდათ თუ არა მათ აქ წარმოებული მუშაობა, ან მთის ჩამონგრევის შემთხვევა, მაგრამ არავის ამის მაგვარი არა ახსოვდა რა. ცხადია, მთა ჩამონგრეულა, გვირაბში შესავალი გადუკეტია, თოვლსა და წვიმებს ისე უმოქმედია მთის ზედაპირზე, რომ აღარ ეტყობა ჩამოწოლის ადგილი, მაგრამ ყველაზე საინტერესო აქ ის არის, თუ რომელ წლებს ეკუთვნის ბარიტის ამ გვირაბიდან გამოღება და შიგ მოყოლილ ადამიანის ჩონჩხი? იბადება აზრი, რომ ბარიტის ამოღება საქართველოში უფრო ძველ დროს ეკუთვნის და არა 1888 წელს, როგორც ეს დღემდე ცნობილია.

საქართველოს ბარიტს დიდი პერსპექტივა აქვს. ის მოიპოვება არა მარტო იმ მთებში, სადაც ამჟამად სწარმოებს ექსპლოატაცია, არამედ ბევრ სხვა ადგილას. მაგალითად აღმოჩნდა, რომ სოფ. ღვედში ბარიტის დიდი მარაგია, წინასწარი გამოანგარიშებით იქ 50 ათასი ტონაა. ბარიტის საბადოები მოიპოვება აგრეთვე ოჯოლაში, მუჯირეთში, ვათეთრაში, მაგრამ ყველა ამას სჭირდება გეოლოგიური გამოკვლევა. მისი მთლიანი რაოდენობა საქართველოს სამთამადნო სამმართველოს ცნობით 4 მილიონ ტონამდე აღწევს. ამ რაოდენობის მარაგის გამართლება დამოკიდებულია ძიების სწორ დაყენებაზე. მიმდინარე წელს გეოლოგიური კვლევისთვის გადადებულია 440 ათასი მანეთი. მომავალი წლიდან—მილიონ ნახევარი მანეთი. მაგრამ ამ თანხების ათვისება უნდა. ბარიტის სამმართველომ თავისი მუშაობა ამ მხრით უნდა წარმართოს...

ლეჩხუმის მთებმა თავისი დაუშრეტელი ძვირფასი საბადოები გამოაცოცხლეს და აამოქმედეს, სიცოცხლისა და ინტერესის ახალი სხივი შეიტანეს გარემო სოფლებში. აქამდე მდუმარე, ლოდინში ჩაფლულმა მთებმა, საუკუნოებრივი დუმილი დაარღვიეს; მათთან მივიდა მშრომელი ადამიანი და აი შედეგი: ახლა, როდესაც რიონის სანაპირო შარაგზას ახმაურებს ბარიტით დატვირთული ავტომობილები, ეს ხმები მთებიდან გამოდის, ეს მთების მეტყველებაა.

◆

მილიციის პირველი სპარტაკიადა

ოქტომბერს ტფილისში გაიხსნა მილიციის მუშაკთა პირველი სპორტო სპარტაკიადა, რომელიც გასტანს სამ დღეს. სპარტაკიადაში მონაწილეობას ღებულობს 460 ფიზკულტურელი — მილიციის დარგიდან, რომლებიც ვარჯიშობენ „დინამოს" ხაზით. სპარტაკიადაში მონაწილეობას ღებულობენ მილიციის ნაწილები, ველოსიპედისტები, ცხენოსანი დივიზიონი. სპარტაკიადის მიზანია მილიციის თანამშრომლების ფიზკულტურული გაწვრთნის მიღწევების ჩვენება.

სპარტაკიადის პირველ დღეს ჩატარდა საზეიმო აღლუმი. აღლუმი მიიღო ამხ. ლორთქიფანიძემ. ნაჩვენები იქნა ფიზკულტურის თავისუფალი ვარჯიში, ველოშეჯიბრი და სხვ.

სურათზე: აღლუმი მილიციის ფიზკულტურული სპარტაკიადის საზეიმო გახსნის გამო. წრეში—მილიციის სპარტაკიადის ხელმძღვანელი ამხ. შამშურინი.

ბიბლიოგრაფია

„მელორეობა კოლმეურნეობაში"

ალ. გედიაშვილი, ნ. მელითაური. სახელგამის გამოცემა 1934 წ. გვ. 62

მელორეობა - მეცხოველეობის ერთერთი მნიშვნელოვანი დარგია, ღორის ხორცი 2—3-ჯერ უფრო იაფი უჯდება მეურნეობას სხვა პირუტყვის ხორცთან შედარებით ამიტომ „ღორი უნდა შეიქნეს ჩვენს მთავარ მანქანად ხორცის წარმოების საქმეში" იგი „დაგვეხმარება ყველაზე მეტად ხორცის პრობლემის დაჩქარებით გადაწყვეტაში" (იაკოვლევი). სარეცენზიო ბროშურის ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მეცხოველეობის პრობლემის სწრაფად გადაჭრისათვის „არის მხოლოდ ერთიერთი ნაცადი გზა - საბჭოთა და კოლმეურნეობების მშენებლობის და გამტკიცების გზა" (გვ. 4).

წიგნში საკმაოდაა გაშუქებული მელორეობის ყველა აქტუალური საკითხი. როგორიცაა ჯიშების გაუმჯობესება, ღორის კვებისა და კერძოდ საჯიშე ნეზვების პურეაკების, გოჭების, კერატების, მაკე და საბეკონე ღორის კვებისა და მოვლის წესები.

საერთოდ ყველა საკითხი ავტორების მიერ გაშუქებულია მისი პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით; მაგალითად, ღორის მთავარი ავადმყოფობანი, როგორიცაა კუჭის აშლა, რახიტი, რევმატიზმი, მრგვალი ჭიები ჭირი, სეპტიცემია, ციმბირის წყლული და სხვა. წიგნში (გვ. 53, 54, 55, 56) გაშუქებულია არა მარტო იმ მხრივ, თუ რა ზიანი მოაქვს ცალცალკე ამ ავადმყოფობას ან როგორ უნდა ვუწამლოთ, არამედ მოცემულია იმის ახსნა-განმარტება, თუ რა იწვევს მათ წარმოშობას და როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ ავადმყოფობათა გამომწვევ მიზეზებს.

ბროშურაში წინა პლანზე სამართლიანადაა წამოყენებული ღორის ჯიშების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საკითხები და მას დათმობილი აქვს წიგნის თითქმის ერთი მეხუთედი ნაწილი (14-დან 28 გვერდამდე). საჭიროა აღინიშნოს, რომ ღორის ჯიშების გაუმჯობესების საკითხი წიგნში საუკეთესოდაა დამუშავებული და მას შეუძლია დიდი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მელორეობის დარგში მომუშავეებს; კულტურული ჯიშებიდან აქ უმთავრესად განხილულია ინგლისური თეთრი იორკშირი და ბერკშირი და ისინი დაპირდაპირებულია ადგილობრივ უკულტურო-გაუჯიშებელ ღორის ჯიშებთან წიგნში საინტერესოდაა აღწერილი, თუ როგორ შეიქმნა ინგლისში ადგილობრივი უბრალო და ჩინური გაუმჯობესებული ღორის ჯიშებიდან საკუთარი ჯიშები და ნათქვამია: „ინგლისელების გამოცდილება მელორეობის გაუმჯობესების საქმეში ჩვენთვის უსარგებლო არ იქნება. ღორის ჯიშების გაუმჯობესებისათვის ჩვენ საუკეთესო პირობები გვაქვს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში ამიტომ ჩვენი ღორის ჯიშების გაუმჯობესებას ფართოდ უნდა შევუდგეთ" (გვ 20).

საინტერესოა აგრეთვე ბროშურის ის ნაწილი, რომელიც ეხება მელორეობის მეურნეობათა ზამთრისათვის მზადების საკითხებს (გვ. 57, 58, 59, 60, 61) საზამთროდ ღორი მწვანე და კონცენტრიული საკვებით და ბინით უზრუნველყოფის საკითხთან ერთად, აქ ყურადღება გამახვილებულია იმით კონკრეტულ საკითხებზე, როგორიცაა ფერმებში წყლის მომარაგება, ქვეშ-საფენი მასალა ღორის სადგომი ბინების დეზინფექცია, ვენტილაცია, სინათლე, გათბობა, კანალიზაცია, სალორეების შინაგანი მოწყობილობა, დამხმარე ნაგებობათა მოწყობა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბროშურაში საერთოდ სუსტადაა გაშუქებული შრომის მოწესრიგების საკითხები ავტორები წერენ: „უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფერმაში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება და შრომის აღრიცხვის წესიერად დაყენება, უამისოდ შეუძლებელია ფერმის განმტკიცება, მისი მუშაობის გაშლა და მის წინაშე დასახულ ამოცანების შესრულება" (გვ. 14, ხაზი ყველგან ჩვენია). ეს მართალია, მაგრამ საჭირო კი იყო ამასთან ერთად ავტორებს ეჩვენებინათ შრომის მოწესრიგების მთავარი გზები, როგორიცაა მელორეობის ბრიგადების შინაგანი ორგანიზაცია, შრომის ანაზღაურების წესები და სხვ.

მიუხედავად ამისა, სარეცენზიო ბროშურა წარმოადგენს მეტად საინტერესო ნაშრომს, რომელსაც უნდა იცნობდეს კოლმეურნეობის ყველა ხელმძღვანელი და მეცხოველეობის დარგის თვითეული მუშაკი. იგი დაწერილია გასაგები ენით. დასურათებულია და ღირს 75 კაპ.

თ. ა—ლი.

ახალი ლიტერატურული დოკუმენტები

ქუთაისის სამეცნიერო-საისტორიო არქივში დაცულია დღემდე გამოქვეყნებული, მეტად საინტერესო ლიტერატურული დოკუმენტები, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ აქ არის ოფიციალური მასალები აკაკი წერეთლის მოღვაწეობის, მისი იუბილეს (1908 წ.) და გარდაცვალების შესახებ.

აქვე ინახება ილია ჭავჭავაძის ხელთნაწერი:—რჩევა პეტროგრადში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა წრის გამგეობას, 1897 წელს კუნძულ კრიტოსზე, ბერძნების ეროვნული აჯანყებისათვის დახმარების თაობაზე.

ამავე საკითხზე ამავე წრისადმი გიორგი წერეთლის, ალ. მაღალაშვილის და სხვათა წერილები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უცნობი ავტორის დავით ივანესძე ლეონიძის ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა („სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა"), რომელსაც არა მარტო ისტორიული, არამედ მხატვრული ღირებულებაც აქვს.

ამ მასალების სისტემაში მოსაყვანად მუშაობს ქუთაისის პედინსტიტუტის ახალგაზრდა ლექტორი კ. მეძველია, ინსტიტუტთან არსებულ ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელობით.

ნ.

მზადება საზამთრო სეზონისათვის

ზაფხულის სეზონის დამთავრების შემდეგ სტალინის სახელობის კლუბი შეუდგა სამზადისს ზამთრის სეზონისათვის. კლუბი ამჟამად დახურულია და მიმდინარეობს მისი რემონტი. თეატრის დარბაზი რომელიც ზაფხულში კინო-დარბაზად იყო გადაკეთებული, კაპიტალურად შეკეთდება ზამთრის სეზონისათვის მიმდინარე რემონტი წარმოებს საკლუბო ოთახებში.

ზამთრის სეზონის გახსნა სტალინის სახელობის კლუბში მოხდება 1 ნოემბერს. რემონტი მიმდინარეობს აგრეთვე პლეხანოვის სახ. კლუბში. ეს კლუბიც 1 ნოემბრიდან იწყებს ზამთრის სეზონს.

ქართველი პოეტები რუსულ ენაზე

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. (საქ. კორსაგან). გამომცემლობამ „სოვეტსკი პისატელ" გამოსცა ქართველ პოეტების ლექსთა კრებული რუსულ ენაზე თარგმანი— პასტერნაკის. კრებულში მოთავსებულია პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის და სხვ. ლექსები. კრებულის ილუსტრაციები შესრულებულია მხატვარ. ლ. გუდიაშვილის მიერ.

„ხალხური შემოქმედების საუნჯე"

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნებისთანავე შოთა რუსთაველის იუბილეს ჩატარების შესახებ, გაზ. „კოლექტივიზაციის" რედაქციამ გამოაცხადა „შოთას სახელობის კულტურული ლაშქრობა". ამ ლაშქრობას მიზნად ჰქონდა დასახული გამოემჟღავნებინა ხალხური შემოქმედებითი ძალები, რომლებიც ასე უხვად მოიპოვება ჩვენი სოფლის მშრომელ მოსახლეობაში. შეგროვებულია ამ შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები და გაეცნო ფართო მასებისათვის.

რედაქციამ ყოველდღე აუარებელი მასალა მოსდის.

რათა შესაძლებელი იქნეს ამ მასალის მკითხველისათვის ერთად მიწოდება, გადაწყვეტილია გამოიცეს „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა", რომელშიაც მოთავსებული იქნება ხალხური ლექსები, პოემები, შაირები, ნაკვესები და იგავ-არაკები.

[illegible] განზრახულია გამოიცეს 3 ტომი, თითო 20 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით. თითოეულ ტომში მასალა დალაგებული იქნება თემატიურად; თანდართული ექნება ილუსტრაციები და შენიშვნები.

გაზეთ „კოლექტივიზაციის" განკარგულებაში ამჟამად არსებული მასალა უკვე სავსებით საკმარისია, თუ მეტი არა, სამი ტომისათვის. პირველი ტომი უკვე გამზადებულია დასაბეჭდად და ამ დღეებში გადაეცემა სტამბას.

იურიდიული კონსულტაცია

მოქალაქეთათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევის და ყოველგვარ საკითხებზე განმარტებების და ცნობების მიცემის მიზნით იუსტიციის სახკომისარიატში მიმდინარე წლის 24 სექტემბრიდან დასასვენებელ დღეებში დაწესებულია პასუხისმგებელ მუშაკების — რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწეების და უზენაეს სასამართლოს წევრების მორიგეობა.

კონსულტაციის გაწევა წარმოებს დღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. მორიგეობის განრიგი გამოკრულია კომისარია-

ჯილდო დამკვრელურ მუშაობისათვის

30 სექტემბერს სადგურ ბროწეულაში შესდგა გზის მშენებელთა საერთო კრება. კრებაზე ბანაკის უფროსმა ამხ. ფ. იაკოვიდიმ გააცნო კრებას შინაგან საქმეთა სახ. კომისრის ამხ. ტ. ლორთქიფანიძის ბრძანება, რომლის ძალით 20 თავისუფლებააღკვეთილი პატიმარი დამკვრელური მუშაობისათვის ვადამდე განთავისუფლებულია პატიმრობიდან, 25 პატიმარს მიეცა პასპორტი, 100 კაცს მიეცა ჯილდო, 50 კაცს შეუმცირდა პატიმრობის ვადა ერთი მესამედით, ხოლო 40 ის ვადა გაუნახევრდა.

განთავისუფლდებ პატიმრობიდან მშენებლობის საუკეთესო ათისთავი - ბრიგადირი გიორგი საყვარელიძე, ბრიგადირი ვარლამ სტურუა და სხვ.

* * *

ქ. სოხუმი. ბულვარი და სასტუმრო „რიცა"

ახალი სამკურნალო მცენარეები

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგის დოც. ნ. კეცხოველის ხელმძღვანელობით სპეციალურმა ექსპედიციამ ჩაატარა გამოკვლევა სამკურნალო მცენარეებისა, რომლებიც იზრდებიან გარე-კახეთში, აგრეთვე მცხეთის და ბორჯომის რაიონში, შეგროვილია დიდძალი კოლექცია. აღმოჩენილია მრავალი სამკურნალო მცენარე, რომელთაც დღემდე მეცნიერება არ იცნობდა, მაგრამ მოსახლეობა კი ხმარობდა სამკურნალოდ.

სულ შეგროვილია 500-დე სხვადასხვა სამკურნალო მცენარე, აქედან ნახევარს ჯერ არ იცნობდა მეცნიერება.

ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტი შეგროვილი მასალების საფუძველზე შეუდგა ახლად აღმოჩენილი სამკურნალო მცენარეების გამოყენების მეცნიერული მეთოდების დამუშავებას.

ქრონიკა

— **„ლიტგაზეთის" საწარმოო თათბირი.** დღეს, 8 ოქტომბერს, დღის 1 საათზე მოწვეულია „ლიტგაზეთის" თანამშრომელთა მორიგი საწარმოო თათბირი. მხატვრებს, მწერლებს, ავტორებს და თანამშრომელთ სთხოვენ გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

— **ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაში** (ლენინის ქ. 16) 9 ოქტომბერს საღ. 7 საათზე შესდგება პირველი ლექცია თემაზე: „ბოლშევიზმის ისტორიული შემზადება, აღმოცენება და ჩამოყალიბება (პერიოდი მე-80 წ.წ. 1905 წლამდე)".

— **დღეს, 8 ოქტომბერს**, საღამოს 8 ნახ. საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13) საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთარგმნელთა სექცია აწყობს ფ. რ. შატობრიანის მოთხრობა „უკანასკნელი აბასირაჯის თავგადასავალი" წაკითხვას თარგმანი ფრანგულიდან ირ. ქავჟარაძისა.

თარგმანის შეფასებაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

ჭადრაკი

რესპუბლიკების მაესტროთა შეჯიბრება

მეთორმეტე ტური

ამ დღეს ყველაზე ადრე თავდება ებრალიძის და რაუზერის პარტია, სადაც პირველი რამდენიმეთ უფრო თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ რაუზერის მიერ მიცემულ წინადადებით დათანხმდა ყაიმს. დანარჩენ პარტიებში ბრძოლამ მწვავე და ხანგრძლივი ხასიათი მიიღო.

ყურადღების ცენტრშია ვ. მაკაგონოვ-რაგოზინის და გოგლიძე-სოროკინის პარტიები. ვ. მაკაგონოვმა დებიუტით ბევრად უკეთესი მდგომარეობა მიიღო. ორი კუ, მაგარი ცენტრი და ფიგურათა აქტიურ განლაგება ჰქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ იგი ამ დღისაც არ დამარცხდებოდა და განაგრძობდა წაუგებლივ სვლას. მაგრამ შუა თამაშში დატუშ დაღლილობა. რაგოზინმა საუკეთესოდ ისარგებლა ამით, მოხდენილი და მასთან ენერგიული სვლებით გაარღვია მოწინააღმდეგის ცენტრი და ყველა ფიგურა გადაისროლა მეფეზე იერიშის მისატანად.

ვ. მაკაგონოვი არც ახლა ილევს საუკეთესოდ თავს და პარტიას აგებს.

მეორე პარტიაში კი მოხდა პირიქით. ლასკერის პაიკით დებიუტის წინააღმდეგ სოროკინმა ნიმცოვიჩის დაცვა აირჩია და დებიუტიდან რამდენიმეთ თავისუფალ მდგომარეობა მიიღო. შემდეგ იგი წავიდა ფიგურათა გაცვლაზე, რომლის დროსაც გააკეთა უმართებულო სვლები და ინიციატივა გადავიდა გოგლიძის ხელში, რომელმაც ჯეროვნად ისარგებლა თავის ფიგურების ძლიერი განლაგებით, და მეფეზე იერიშის მიტანით მოიგო სამი პაიკი. პარტია გადაიდო სოროკინისათვის უიმედო მდგომარეობაში.

დანარჩენ პარტიებში: **ვერესოვს** საშუალება მიეცა გაეკეთებინა ყაიმი **კირილოვ**თან და ამით მაესტროს სახელწოდება მოეპოვებია, მან ეს არ მოისურვა, დაიწყო თამაში მოგებაზე და თვითონ გახდა მოწინააღმდეგის მსხვერპლი.

მ. მაკაგონოვის და **კმოხის** პარტია ყაიმით დასრულდა.

სილიჩის და **კონსტანტინოპოლსკის** და **კასპარიან-სელეზნევის** პარტიები გადაიდო პირველი სილიჩისათვის ადვილად მოსაგებ, ხოლო მეორე კასპარიანისათვის რამოდენიმედ უკეთეს მდგომარეობაში.

გადადებულ პარტიების დამთავრება

7 ოქტომბერს დამთავრებული იქნა ყველა გადადებული პარტია; სადაც კმოხმა მოუგო **სილიჩს** და ყაიმი გააკეთა **ებრალიძესთან** და **კირილოვთან**. **სოროკინმა** მოუგო **სილიჩს** და **კონსტანტინოპოლსკის**, წააგო **გოგლიძესთან** და **კასპარიანთან**. კასპარიანმა ენდშპილის დიდის სიძლიერით ჩატარების წყალობით მოუგო **სელეზნევს**.

გოგლიძემ გამოიყენა **რაგოზინის** მიერ უმართებულო თამაში ენდშპილში, სადაც მას ყაიმის ერთად ერთი გზა ჰქონდა და პარტია მოგებით დასრულა, რითაც შეაგროვა 9 ქულა და პირველობაც გაინაღდა. **სილიჩმა** მოუგო **კონსტანტინოპოლსკის**.

დაუმთავრებელი დარჩა **კირილოვ-ებრალიძის** და **კონსტანტინოპოლსკი-კასპარიანის** პარტია.

შეჯიბრების მდგომარეობა უკანასკნელი ტურის წინ ასეთია:

გოგლიძე—9, **ვ. მაკაგონოვი**—7½, **კმოხი, რაგოზინი და რაუზერი**—6½, **ვერესოვი**—6, **სელეზნევი, სილიჩი და მ. მაკაგონოვი**—5½, **კირილოვი და კონსტანტინოპოლსკი**—5 (1 გად.), **სოროკინი**—5, **კასპარიანი**—4½ და **ებრალიძე**—4 (1 გად.)

დღეს, 8 ოქტომბერს გათამაშდება შეჯიბრების უკანასკნელი, მეცამეტე ტური. ითამაშებენ: **კონსტანტინოპოლსკი—გოგლიძე, რაუზერი—ვ. მაკაგონოვი, კმოხი—სელეზნევი, ვერესოვი—ებრალიძე, სოროკინა—სილიჩი, კასპარიანი—სილიჩი** და **გ. რაგოზინი—მ. მაკაგონოვი.**

თამაში წარმოებს საქპროფსაბჭოს შენობის დიდ დარბაზში.

დასაწყისი საღ. 5½ საათიდან.

ა. ფ—ლი.

ფიზკულტურა და სპორტი

[illegible] ჩოგბურთში

მეექვსე დღე

ამ დღეს მაყურებლებში ყველაზე დიდ ინტერესს **ნოვიკოვის** და **მულტინის** შეხვედრა იწვევდა. ორივე მოთამაშე მაღალი კლასისაა და სიძლიერით თითქმის არ ჩამოუვარდებიან ერთიმეორეს. მოსალოდნელი იყო, რომ ადგილი ექნებოდა მწვავე შებრძოლებას. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მულტინი დღეს ვერ თამაშობს მისთვის ჩვეული სისწრაფით და სიმტკიცით, იგი ხშირად აცდენს ბურთებს და შეჯიბრებას აგებს ორ ხელში. ნოვიკოვმა მთელი თამაში კარგად ჩაატარა და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია 6:3, 6 : 1 ანგარიშით.

აუხსნელად სუსტად თამაშობდა **მედვედევი** **სინიუჩკოვის** წინააღმდეგ, ის დღეს ვერც ბურთს აწვდის კარგად, ვერც იერიშზე გადადის დროულად და გეიმს გეიმზე აგებს. სამაგიეროდ დღეს კარგად თამაშობს სინიუჩკოვი, რომელსაც თავისი გრძელი და ზუსტი ბურთები დღეს მეტის მეტად მოხდენილი გამოუდის და იგებს შეხვედრას ორ ხელში 6:1, 6 : 4.

მეტად ლამაზი და მოხდენილი თამაშის შედეგად ლენინგრადის შერეულმა წყვილმა ნეგრებეცკი-კლაჩკოვამ მოუგო ჩისტოვ-სურნაჩოვას (მოსკოვი) წყვილი 6 : 2, 6 : 2 ანგარიშით.

ამრიგად, ექვსი დღის თამაშის შედეგად ლენინგრადს აქვს 5 მოგება და ერთი წაგება. პირველობის საკითხს გადასწყვეტს ნეგრებეცკის და ნოვიკოვის თამაში. ალფაროვმა (მოსკოვი) მოუგო მერიკულს და სურნაჩევამ (მოსკოვი) ფლიშარიას.

მეშვიდე დღე

პირველ ხელში ნეგრებეცკი თამაშს იწყებს ჩქარი ტემპით. ნოვიკოვი პირველად აჰყვება მას, მაგრამ ჩქარა იძულებული ხდება დაიწყოს უფრო თავდაჭერით თამაში, მაგრამ ეს მას არ შველის. პირველ ხელს იგებს ნეგრებეცკი 6:3 ანგარიშით. მეორე ხელში დასაწყისში უპირატესობა ნეგრებეცკის მხარეზე იყო. ანგარიშით 2:1 მის სასარგებლოდ და ერთი ბურთის აღების შემდეგ იგი მოიგებს მესამე გეიმსაც. მაგრამ იგი აცდენს ბურთებს, რომლის აღება არც ისე ძნელი იყო, აგებს გეიმს, რამაც იქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა. ნოვიკოვმა მოიკრიფა ძალღონე და მეტად ლამაზი და მოხდენილი მომენტების შემდეგ მეორე ხელი თავდება მისი გამარჯვებით 6 :3 ანგარიშით.

მესამე გადამწყვეტ ხელში უპირატესობა კვლავ ნეგრებეცკის მხარეზეა. ნოვიკოვი დღეს რატომღაც ვერ თამაშობს გრძელი ბურთებით, რითაც ხელს უწყობს ბადესთან თამაშის მოსიყვარულე ნეგრებეცკის. ვერაფერს აწყობს აგრეთვე ბურთის მარცხენა მხარისაკენ ხშირ გადებით. ნეგრებეცკის თავისი სუსტი ადგილი — მარცხენა მხარე, — როგორც ჩანს, უკანასკნელ წელს გაუმაგრებია და იგი არ იმჩნევს ამ სისუსტეს. დასაწყისში ნოვიკოვი ცდილობდა როგორმე გამოეგლიჯა ინიციატივა მოწინააღმდეგის ხელიდან, მაგრამ დარწმუნდა, რომ ნეგრებეცკი დღეს უძლეველია და მეორე ნახევარს იგი ნაკლები ინტენსივობით თამაშობს და აგებს პარტიას 3:6, 6 : 3, 3 : 6 ანგარიშით. ამ მოგებით ნეგრებეცკიმ გაათანაბრა ქულათა რიცხვი მოსკოვსა და ლენინგრადს შორის.

დანარჩენ შეხვედრებში: **ტებლიაკოვმა** მოუგო **კლდიაშვილს** 6:3, 6 : 2 ანგარიშით. გაჭიანურებულ თამაშში **ჩისტოვ-სურნაჩოვამ** მოუგეს **სერებრიანკოვა-კლდიაშვილს** 11:9, 6 : 0 ანგარიშით, **ჩისტოვ-ზარუეცკიმ—კრუპენიკოვ-ცამაკიცეს** 6:3, 6 : 2 ანგარიშით. **მულტინოვ-ცისხმა** მოუგეს **მერიკულ-ფლიშარიას** 6:3, 6 : 2.

ნოვიკოვ-ტებლიაკოვას და **მულტინ-ტისხის** შეხვედრა, რომელიც გადასწყვეტს პირველობის საკითხს, დაგვიანების გამო შეწყდა პირველი ხელის გათამაშების შემდეგ, რომელიც მოიგეს მულტინ-ტისხმა 7:5 ანგარიშით. შეხვედრების მდგომარეობა ასეთია. **მოსკოვი ტფილისი 13:0**

ლენინგრადი-ტფილისი—7 : 1.

მოსკოვი-ლენინგრადი 6:6.

ჩოგბურთელთა გუნდის აღლუმი თამაშის დაწყების წინ.

* * *

მეცნიერება და ტექნიკა

ენერგია ოკეანედან

რამდენიმე წლის წინათ ფრანგმა ფიზიკოსებმა **ჟორჟ კლოდმა** და **პოლ ბუშრომ** შეიმუშავეს ოკეანიდან ენერგიის მიღების ორიგინალური მეთოდი, რომელიც მდგომარეობს ტროპიკულ ოკეანეს ზედა და ქვედა ფენების ტემპერატურათა სხვაობის გამოყენებაში.

1926 წ. 2 დეკემბერს კლოდმა და ბუშრომ გააკეთეს თავისი პირველი მოხსენება პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში და გაოცებულ დამსწრეებს იქვე უჩვენეს პატარა ტურბინა, ვაკუუმის ქვეშ შეერთებული ორ ჭურჭელთან, ერთი ჭურჭელი გავსებული იყო წყლით, რომლის ტემპერატურა უდრიდა 30 გრადუს C-თი მეორე კი — 5° C-თი. ტურბინა სწრაფად ბრუნავდა და მიღებული ენერგიით ანთებდა რამდენიმე ელექტრულ ლამპას.

ჩქარა ჟორჟ კლოდი შეუდგა მსოფლიოში პირველი „საოკეანო ელექტრო-სადგურის" პროექტის შედგენას. სადგურს პირველ ხანებში უნდა მოეცა 130.000 კვ. ენერგია სადგურის მოსაწყობათ შერჩეული იქნა კუნძული კუბა—მატანზასის ბუხტა. პირველი ცდა აქ ორკილომეტრიანი მილის ჩაშვებისა ოკეანეში მარცხით დამთავრდა გრიგალის გამო.

1933 წ. 4 სექტემბერს ჟორჟ კლოდი აშკარად დაკარგული სწერდა მოხსენებაში პარიზის მეცნიერებათა აკადემიის სახელზე: „... პატივი მაქვს ვაუწყო აკადემიას, რომ... იმ დროს, როცა ჩვენმა ცდებმა კუბაზე ერთხელ კიდევ დაამტკიცეს კლოდ-ბუშროს დადგმულობის თეორეტიული და პრაქტიკული ეფექტიურობა, განსაკუთრებული პირობები, რომლებიც მძვინვარებენ მსოფლიოში, აბრკოლებენ შემდგომ მუშაობას პროექტზე, რომლის მნიშვნელობა ნათელია ყველასათვის"...

კლოდი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო თავისი იდეის ნაწილობრივ განხორციელებით. გადაწყდა მცურავი ყინულის ფაბრიკის მოწყობა, რომელსაც ენერგიას მიაწვდიდა კლოდ-ბუშროს სისტემის ელექტროსადგური. ამ მიზნით შექმნილი იქნა გემი „ტუნისი", რომლის სათანადოდ მოწყობა დაიწყო მიმდინარე წლის იანვარში და დამთავრდა ამჟამად.

გემი ივლის სამხრეთ-ამერიკის ნაპირების გასწვრივ, სადაც ყინულის გასაღება სასურსათო მრეწველობის საჭიროებისათვის უზრუნველყოფილია.

კლოდ-ბუშროს დადგმულობა (8 ტურბინა) გამოიმუშავებს 2200 კილოვატს (ოკეანეში ჩასაშვები მილის სიგრძე—700 მეტრი), რომლიდანაც 800 კილოვატი მოხმარდება მექანიზმების მუშაობას, 1400 — მაცივარს.

★

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ზღვის და ოკეანების წყლების სხვადასხვა ფენებას ტემპერატურათა სხვაობის გამოყენებაზე ენერგეტიკული მიზნებისათვის ფართო მუშაობას აწარმოებს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკული ინსტიტუტი. გაშლილია მუშაობა საბჭ. არქტიკის, პირველ რიგში ფრანც-იოსების და ჩრდილოეთის მიწის ენერგეტიკული მომსახურების პრობლემის გადასაჭრელად.



ა.-წ. პირველ აგვისტოდან ამუშავდა ქუთაისის საგარეუბნო აბანო. აბანოს უნარგამტარიანობა საათში 85 კაცს უდრის.

ოქტომბერი 6-30, 8. 9-30, 11.	ახალი მხატ. დოკუმენტალური ფილმი „ოლიმპიადა" ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნებაზე
დამკვრელი საზაფხ. [illegible]-30, 11.	ვერცხლის შარფი მესამე სერია სეანსების დასაწყისი 6-30.
დამკვრელი ზამთ. 5-30, 10. 11-15. ფოიეში ჯაზი	
ამერი საზაფხ. 6-30.	ახალი ლირიკული კომედია „ალენის სიყვარულ"
ოთარი საზაფხ. 7-45. 9-15. 10-45	„ვერცხლის შარფი" მესამე სერია
26-ის სახელ. 10 10	მხატვრული ფილმი „[illegible]"
ლიუქსემბურგის სახელობის 30, 8. 9-30, 11	ახალი ბრძოლა—თოლადარაკე ფილმი „ორჯელ შობილი"
კომინტერნი საზაფ. დიდებისთ. 8-15, 10.	მხატვრული კომედია „ხანუმა"

საბავშვო და ლიუქსემბურგის დღის სეანსები ბავშვებისათვის. დასაწყისი 2 1-30.

„ორთაჭალის" თეატრი რესპ. სახალხო არტ. ანდრო ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით
1934-35 წ. სეზონი.
14 ოქტომბერს სეზონის გახსნა
ბილეთი [illegible]-16 აპ. 1 წ.
in tirannos
აბონემენტების გაცემა მოწყვეტილია.
დასაწყისი 8 საათზე. სალარო ღიაა 11—2, 6—9 ს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
გამოვიდა
სტალინი— საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ.
იყიდება პარტგამომცემლობის მაღაზიებში. 2-1 483

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
გამოვიდა
ს. მონოსოვი— რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები.
იყიდება პარტგამომცემლობის ყველა [illegible] და კიოსკებში 482

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
გამოვიდა
გ. პლეხანოვი— მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
(პროფ. ივ. ვაშაქმაძის წინასიტყვაობით)
481

დათვი სჭირდება მოსკოვის კინო ექსპედიციას ჯახაკი 5-6 თვის. მიმართეთ სასტუმრო ევროპაში № 44
ბორდინსკის
5396

დაკარგულია პასპორტი № 037635 და პროფკავშირის წიგნაკი № 370760 ლიუბა მოსეს-ასული კოსტრინის სახელზე, ჩ. გ.

მსუბ. მრეწველობის სამკერვალო სამმართველოს
ფაბრიკა № 6.
[illegible] (ყოფ. სომხი ბაზარი) № 22.
აცხადებს შემკვეთლების საყურადღებოდ, რომ ქვემოდ ჩამოთვლილი შეკვეთები: კოსტიუმები და პალტოები, როგორც კაცის ისე ქალის, რომლებიც დამზადებული იყო 1 ოქტომბრისთვის გამოსყიდული უნდა იქნეს ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოცხადებისა ხუთი დღის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება სხვა პირებზე ორდერებით და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.
შეკვეთების №№
წერტი № 1-დან: 130, 285, 371, 415, 553, 649.
—
273, 372, 518, 1122, 1300, 1536, 1579, 1702, 1901, 1955, 2016, 2103, 2155, 2319, 2942, 3027, 3053, 3061, 3083, 3160, 3189, 3219, 3234 3241, 3273, 3287, 3522, 3559, 3591, 3664, 3903, 4048, 4063, 4073, 4081, 4103 4105, 4292, 4353, 4382, 4422, 4449, 4508, 4513, 4528, 4531, 4591, 4801, 4860, 4878, 4888, 4889, 4900, 4908, 4914, 4923, 4926, 4931, 4934, 4938, 4957, 4975, 4977, 4989, 5000, 5012, 5030, 5032, 5043, 5071, 5077, 5084, 5094, 5101, 5103, 5135, 5142, 5153, 5167, 5178, 5180, 5212, 5699, 5905, 6006, 6308, 12228, 12241, 12246, 12330, 12353, 12432, 12447, 12478, 12488, 12547, 12573, 12595, 12623, 12631, 12632, 12657, 12662, 12692, 12694, 12696, 12754, 12756, 12760, 12770, 12776, 12777, 12789, 12815, 12817, 12841, 12845, 12848, 12853, 12856, 12860, 12861, 12899, 12910, 12923, 12923, 12947, 12949, 12955, 12996, 13005, 13007, 13023, 13024, 13049, 13057, 13061, 13078, 13104, 13119, 13138, 13242, 13251, 13922.
დანარჩენი შეკვეთები: ხალათები, შარვლები და ქალის კაბები რომლებიც დამზადებული იყო 1-ლ ოქტომბრისთვის გამოსყიდული უნდა იქნეს ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. ხუთი დღის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება ორდერებით სხვა პირებზე და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.
შენიშვნა: ზემოაღნიშნულ შეკვეთების ნომრებში არის სპეცკანტორასთან არსებული სამკერვალო წერტი № 1-დან გადმოგზავნილი შეკვეთების №№-ი.
618

დედა ციცინო, ძმები: ალექსანდრე, სერგი, ვერიანე, სიმონიკა, ვანიჩქა ცოლშვილით, დები: ბაბილინა, გოგუცა, ელისაბედ, მაშურა ქმარშვილით იუწყებიან
ვალერიან (ვალიკო) ერგემლიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ზედა არგვეთში (ჭიათურის რაიონი) 9 ოქტომბერს.

ვლადიმერ ცოლშვილით, ტიტიკო ლორთქიფანიძეები, ვერა დიასამიძისა ქმარშვილით, სიძით, იუწყებიან დედის
ვასასი ბიჭიას-ასულ ლორთქიფანიძის
გარდაცვალებას, გამოსვენება მეთულუხის შეს., № 12, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 9 ოქტომბერს 5 ს.

მინადორა გაბესკირია შვილებით და ძმებით, ვიქტორ, ვახტანგ, ელენა და შალვა გაბესკირიები, ქსენია ჩიქოვანი-ჩილაჩავასი ქმარშვილით იუწყებიან
ცუცუ გაბესკირიას
გარდაცვალებას.

ქეთო და ალიოშა ბოკერიები, მიშა და ნიკუშა ალხაზაშვილები და ჟორჟიკა ქადაგიძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის ბორია გაბესკირიას დედის
ცუცუ გაბესკირიას
გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. სენაკში 9 ოქტომბერს.

მე-32 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მე-10 კლასის მოწაფის
შოთა ჩხენკელის
გარდაცვალებას.

მეუღლე სონია, შვილი მადლენა, სიძე ლეონიდე მეგრელიძე შვილით გულიკოთი იუწყებიან
კოლია პეტრეს-ძე მასხარაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში.

ა. თოდრია, ნ. ძიძიგური, ს. მელქოევი, ჟ. ურუშაძე, ვ. კეშელავა, შ. ცინცაძე, კ. ბახტაძე, ვ. ფრანგულაშვილი, პ. მეგრელიძე, ე. შარიძე, ქ. ჭავჭანიძე, ა. აკურავა, მ. გაბუნია, ვ. გორდაძე, ი. მწველიძე, გ. კალანდაძე, თ. წერეთელი, ტ. ხოშტარია, ნ. აბესაძე, ბ. პოდგორსკი ე. აბრამოვა, იუწყებიან სანდრო დადიანის დედის
ნატალიას
გარდაცვალებას.

საქართველოს განმუშაკთა კავშირის ც. გამგეობა იუწყება პრეზიდიუმის წევრის სანდრო დადიანის დედის
ნატალია დადიანის
გარდაცვალებას.

ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს ექიმები იუწყებიან ექიმ
ნადია ივანეს-ასული ჩირაქაძე-გელეიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ქ. ქუთაისში 6 ოქტომბერს.

წალვერის სანატორიუმის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სანატორიუმის მთავარ ექიმ შალვა ლორთქიფანიძის ძმის
ბიჭინა ლორთქიფანიძის
გარდაცვალებას.

ინჟ. ივანე ერგემლიძე ცოლით მარით და შვილით გურამით იუწყებიან
ვალერიან გიორგის-ძე ერგემლიძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ს. ზედა-რგანში 9 ოქტომბერს.

ჯსკ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ინსტიტუტის თანამშრომლის გრიგოლ გიორგაძის ძმის
პლატონ გიორგაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 8 ოქტომბერს 5 საათზე ბარნოვის ქ. № 25. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე.

დედა მაკრინე, ძმა პლატონი, დები: სერაფიმა, ანასტასია, ტატიანა, სიძეები: გერასიმე ბეროა, ბათლომე ბეჟუაია ცოლშვილებით იუწყებიან
გლიკერი თარასხანის-ძე მირცხულავას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ხორგაში 12 ოქტომბერს.

საქ. ჩაის კაპიტალურ მშენებლობის ზუგდიდის ბაზის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ტფილისში 4 ოქტომბერს გარდაიცვალა ამავე ბაზის რწმუნებულის მოადგილე
ალექსანდრე ივანეს-ძე მურვანიძე

ტფილისის ტყემრეწმეურნეობის დირექცია მუშა-მოსამსახურეებთან ერთად ღრმა მწუხარებით გამოთქვამს ყოფილ თანამშრომლის ინჟინერ-მეტყევე
პლატონ მიხეილის-ძე გიორგაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო.

კურორტთა მთავარი სამმართველოს და ბორჯომიწყლების ტფილისის განყოფილების ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვიქტორ დავითაშვილს მისი მამის
დავით დავითაშვილის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 8 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზე. გამოსვენება ყოფილ მიხაილოვის საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზე.

მისამართები: რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ. № 34 **ტელეფონები:** რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—02, პასუხისმგებელი მდივნის 3—06,ბა, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73 40 სტამბის 3—27—04.

[illegible] № 5 [illegible] 8420.